პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული გაზეთი

1934 დეკემბრის 6 | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ექვსდღიური ორგანო | ფასი 50 კაპ. | № 28

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერს მტრულად დავუხვდეთ

ამ საქმეს ვერავითარი სხვა საშუალებით ვერ გავაკეთებთ

ს. კ ი რ ო ვ ი

უკანასკნელი საკითხი, რომელზედაც მე მსურს შევჩერდე და რომელსაც ხშირად ვივიწყებენ, ალბათ, ყველა დანარჩენ საშუშაოთი გატაცების გამო. მე მხედველობაში მაქვს ჩვენი ორგანიზაციების პარტიულ-მასობრივი მუშაობა, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის, მუშათა მასების პოლიტიკური აღზრდის საკითხები.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს არის მთელი ჩვენი პარტიული მუშაობის ერთ-ერთი ფრიად პასუხსაგები უბანი. ყოველ შემთხვევაში, პრაქტიკაში ისე გამოდის, —ეს პირდაპირ და პატიოსნად უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ, ვაქცევთ რა ყურადღებას ქარხნებს, სამრეწველო-საფინანსო გეგმებს, პროგრამებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, ქვანახშირს და სხვა, ზოგჯერ განზე ვტოვებთ პარტიული აღზრდის საქმეს და ამ საკითხზე უშუალოდ და ღრმად არ ვმუშაობთ. ადგენენ ათასგვარ მეთოდებს, პროგრამებს, თეზისებს, აგიტაციისათვისაც, პროპაგანდისათვისაც და ყველაფერს ადგილებზე აგზავნიან. მე გულახდილად ვაღიარებ, რომ დღემდის ყოველთვის როდი ვიყავი სათანადოდ დაინტერესებული, თუ რა პროგრამები, რა მეთოდიკებია, რას და როგორ ასწავლიან ისინი.

ეწევიან აგიტაციას და პროპაგანდას. საერთოდ, რა თქმა უნდა, აგიტაციას სწორად ეწევიან, მაგრამ ყოველთვის ესმით თუ არა მათ, ვის შორისაც ეწევიან აგიტაციას, ის, რასაც მათ ეუბნებიან, როგორ აწოდებენ მუშას და გლეხს ჩვენს ლოზუნგებს და გადაწყვეტილებებს, — ეს ჩვენ ხელმძღვანელებმა, ყოველთვის როდი ვიცით ხოლო ეს სრულიადაც არ არის უკანასკნელი საკითხი.

ამაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი შემდგომი წარმატებანი.

რა თქმა უნდა, ფრიად სასიხარულოა ნახოს პიესა რომელიმე მწერლისა, რომელიც ჩვენს საბჭოთა პიესებს წერს, — პიესა იმის შესახებ, თუ როგორ იზრდება ახალი თაობა, რომელსაც არასოდეს არ უნახავს, თუ რა არის ცოცხალი გარადავოი და სხვა. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია; მაგრამ აი, ამუამად იზრდება კიდევ უფრო ახალგაზრდა თაობა, რომელმაც არ იცის, რომელსაც არავითარი ცოცხალი წარმოდგენა არა აქვს, გარდა გონებრივისა, იმის შესახებ, თუ რა არის უმუშევრობა, გაჭირვება, შიმშილი. — თაობა, რომელიც პრაქტიკაში სრულიადაც არ იცნობს ასეთ რამეებს. მაგრამ ეს ხალხი ხომ უნდა აღვზარდოთ და გავაგებიოთ მათ, თუ რისგან და რატომ მოხდა ეს. ხოლო ამის გაკეთება კი შეიძლება მხოლოდ კარგად დაყენებული პროპაგანდით, აგიტაციით ჩვენი დიადი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე. ვერავითარი სხვა საშუალებით ამ საქმეს ვერ გავაკეთებთ.

(ს. კ. პ. (ბ). XVII პარტყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვიდან).

ჩვენს პარტიას დიდი უბედურება დაატყდა თავს. პირველ დეკემბერს, კლასობრივი მტრების მიერ მოგზავნილი ვირაგი მკვლელის ხელით, დაიღუპა **ამხანაგი კიროვი.** არა მარტო ჩვენთვის— მისი ახლობელი მეგობრებისა და ამხანაგებისათვის, არამედ ყველა იმათთვისაც, ვინც იცნობდა მას რევოლუციური მუშაობით, იცნობდა მას როგორც მებრძოლს ამხანაგს და მეგობარს, კიროვის სიკვდილი წარმოადგენს ისეთ დანაკლისს, რომლის ანაზღაურება არაფრით არ შეიძლება. მტრის ხელით დაიღუპა ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი მკვეთრი სიცოცხლე შესწირა მუშათა კლასის საქმეს, კომუნიზმის საქმეს. კაცობრიობის განთავისუფლების საქმეს.

ამხანაგი კიროვი წარმოადგენდა ისეთი ბოლშევიკის ნიმუშს, რომელმაც არ იცოდა შიში და სიძნელეები პარტიის მიერ დასახული უდიდესი მიზნის მიღწევაში. მისი პირდაპირობა, რკინისებური სიმტკიცე, რევოლუციის აღფრთოვანებული ტრიბუნის განსაცვიფრებელი თვისებანი თავსდებოდენ მასში იმ გულითადობასა და სინაზესთან პირად ამხანაგურ და მეგობრულ ურთიერთობაში, იმ შუქმფენ სითბოსთან და თავაზიანობასთან, რომლებიც სჩვევია ნამდვილ ლენინელს.

ამხანაგი კიროვი მუშაობდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაწილში, არალეგალობის ხანაშიაც და ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც ტომსკსა და ასტრახანში, კავკავსა და ბაქოში — და მას ყველგან მაღლა ეჭირა პარტიის დროშა და რევოლუციონერის დაუღალავი ენერგიითა და ნაყოფიერი მუშაობით პარტიის საქმისათვის იპყრობდა მშრომელთა მილიონებს.

უკანასნელი ცხრა წლის განმავლობაში ამხანაგი კიროვი ხელმძღვანელობდა ჩვენი პარტიის ორგანიზაციას ლენინის ქალაქში და ლენინგრადის ოლქში. ოკლე სამგლოვიარო წერილში შეუძლებელია იმ მოღვაწეობის შეფასება, რომელსაც ეწეოდა იგი ლენინგრადის მშრომელებს შორის. ძნელი იყო ჩვენს პარტიაში უფრო შესაფერი ხელმძღვანელის გამონახვა ლენინგრადის მუშათა კლასისათვის, ხელმძღვანელის, რომელმაც ასე მოხერხებულად შეადუღა პარტიის გარშემო ყველა პარტიელი და მთელი მუშათა კლასი. მთელ ლენინგრადის ორგანიზაციაში მან შექმნა იმ დისციპლინის, რევოლუციის საქმისადმი სიყვარულისა და ერთგულების ბოლშევიკური ორგანიზებულობის ატმოსფერა, რომლითაც თვითონ ამხანაგი კიროვი ხასიათდებოდა.

შენ ახლობელი იყავი ყველა ჩვენთვის, ამხანაგო კიროვ, როგორც გულწრფელი მეგობარი, საყვარელი ამხანაგი, საიმედო თანამებრძოლი. ჩვენი სიცოცხლისა და ბრძოლის უკანასკნელ დღეებამდე მოგიგონებთ შენ, ძვირფასო მეგობარო და ვიგრძნობთ ჩვენი დანაკლისის სიმწარეს. შენ მუდამ ჩვენთან იყავი, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის მძიმე ბრძოლების წლებში, შენ მუდამ ჩვენთან იყავი ჩვენი პარტიის შიგნით მეოცეობისა და სიძნელეების წლებში, შენ ჩვენთან ერთად გადაიტანე უკანასკნელი წლების სიძნელეები და დაგკარგეთ შენ იმ მომენტში, როცა ჩვენმა ქვეყანამ უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია. ყველა ამ ბრძოლაში, ყველა ჩვენს მიღწევაში ბევრია შენი წილი, ბევრია შენი ენერგია, ძალა და მხუოვალე სიყვარული კომუნიზმის საქმისადმი.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო სერგეი.

ი. სტალინი.	ვ. კუიბიშევი.
ს. ორჯონიკიძე.	ი. რუდუტაკი.
ვ. მოლოტოვი.	ს. კოსიორი.
მ. კალინინი.	პ. პოსტიშევი.
კ. ვოროშილოვი.	გ. პეტროვსკი.
ლ. კაგანოვიჩი.	ა. ენუქიძე.
ა. მიქოიანი.	მ. შკირიატოვი.
ა. ანდრეევი.	ემ. იაროსლავსკი.
ვ. ჩუბარი.	ნ. ეუოვი.
ა. ჟდანოვი.	



ლენინგრადი — სმოლნი. მსოფლიო ისტორიისათვის დაუვიწყარი შენობა, რომელშიაც ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის ოქტომბერში მოთავსებული იყო პროლეტარული აჯანყების ბოლშევიკური შტაბი და საიდანაც იმ ათი დღის განმავლობაში, რომლებმაც შესძრეს მსოფლიო, გამოდიოდა ლენინის პირველი ბრძანებები და დეკრეტები. ამავე შენობაში, ამ დღეებში, მუშათა კლასის საზიზღარი მტრის ხელით, მუხანათურად მოკლულ იქნა ამხ. სერგეი კიროვი

ნახატი დ. ქუთათელაძისა

გამოთხოვება

მოღალატის ხელით
დაღუპულ სერგეი კიროვს

ეხ, მეგობრებო,
ძირს დახარეთ წამით დროშები,
ვოლგაა ცრემლი —
და ქვითინებს მწუხარე დედა,
მწუხარე დედა:
ჩვიდმეტი წლის რევოლუცია!
იმ სიმღერებათ მივაცილოთ ხამარის კარიან,
მას რომ უყვარდა სიჭაბუკეში!
დახარეთ დროშა,
ბრძოლის დროშა — მას რომ უყვარდა,
მხოლოდ იმღერეთ
სიკვდილამდე რაც უმღერია!
დიდი ხტალინი მას დახედავს მწუხარე სახით,
ეტყვის: მშვიდობით, სახსოვარი იყავ მარადის!
ვრცელი ქვეყანა იმეორებს:
იყავ მშვიდობით,
იყავ მშვიდობით,
სახსოვარი იყავ მარადის!
იგი დახედავს
გაფითრებულ მეგობრის სახეს,
შურისძიებით ცახცახებენ მხოლოდ ბაგენი,
სერგეი მშვიდობით,
მწუხარება ისე დიდია —
ძველი ჭრილობა შეაშფოთებს კუბოში ლენინს!
ჭარიშხალის დროს დაღუპულნო,
ხადა ხართ ახლა?..
კვლავ ერთი მსხვერპლი ემატება ძმათა
ხაფლავებს,
ამხანაგებო, მოიგონეთ კაპლანის ტყვია,
და სუსხიანი, სუსხიანი ოქტომბრის წლები!
შევფიცოთ!
იგი, წაქცეული დიად ბრძოლაში,
მზის ქვეყანაში — ხიმღერების და ვაჟკაცობის,
იქნება დროშა დაუხრელი და მოგონება —
მარადი ბრძოლის, თავდადების და აღტაცების!
ღალატი... ტყვია... ჩისხლიანი ხელი ვერაგის...
დიდი ტრიბუნი დამხობილი პირქვე ხველებით...
ნუ აფრქვევთ ცრემლებს!
ხიკვდილის წინ იგი მღეროდა:
მშვიდობით, ჩემო საყვარელო რევოლუციავ!
ვფიცავთ,
ბრძოლაში წაქცეულთა წმინდა სახელებს,
ვფიცავთ, ღალატით დაღუპულის წარუშლელ
ხსოვნას,
ჩვენ ვართ მხედრები და ლენინის გაშლილ
დროშებით,
ყოყინით შევალთ ამომავალ მზის ქვეყანაში!

გიორგი შატბერაშვილი

მკითხველთა საყურადღებოდ:

დღეიღან ჩვენი გაზეთი საცალო გაყიდვისას ეღირება 50 კაპ. ხელის მომწერთათვის პირობები რჩება ძველი, 30 კაპ.

როგორ უნდა გოლოვდეგოდეს „ვეფხის ტყაოსანი“

(ნოემბრის მეორე ნახევარში გამართული დისკუსია განათლების მუშაკთა სახლში)

ამხ. მ. ტოროშელიძის შესავალი სიტყვა

კონსტანტინე ჭიჭინაძის მიერ შესრულებული „ვეფხის ტყაოსნის“ უკანასკნელი გამოცემა, რომლის გარშემო დღეს ჩვენ დისკუსიას ვმართავთ, უეჭველად წარმოადგენს მეტად საყურადღებო მოვლენას და არა მარტო ქართული ლიტერატურისათვის. „ვეფხის ტყაოსანმა“ უკვე გაარღვია ნაციონალისტური ინტელიგენციის მიერ ერთ დროს მისთვის შექმნილი საზღვრები და მოექცა პროლეტარული კულტურის საგანძურში. ეს გარემოება გვიკარნახებს შევისწავლოთ იგი მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით. „ვეფხის ტყაოსანი“ შეთვისებული უნდა იქნას არა მარტო ქართულ ენაზე მოლაპარაკე მასების მიერ. უახლოეს დროში უნდა გამოირკვეს „ვეფხის ტყაოსნის“ ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში და აგრეთვე მისი მოქმედების გეოგრაფიული არე, მისი ავტორის სოციალურ-პოლიტიკური იდეალები და სხვა. პირველ ყოვლისა უნდა დავადგინოთ „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტი. ამ მხრივ უკანასკნელი გამოცემა წარმოადგენს განსაკუთრებულ მოვლენას, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ იგი განსხვავდება იმ ტექსტისაგან, რომლითაც ქართული საზოგადოებრიობა სარგებლობდა ორასი წლის განმავლობაში.

სრულიად ბუნებრივია, რომ მწერალთა კავშირმა მოკიდა ხელი ამ საქმეს, რადგან იგი წარმოადგენს ერთერთ ისეთ ორგანიზაციას, რომელიც ყველაზე მეტად ახლო დგას ამ პოემის გამოკვლევის საქმესთან და რომელსაც აღელვებს და აინტერესებს ამ პოემის ბედ-იღბალი. ნურავის გაუკვირდება, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ კვლევა-ძიება ფართოდ იშლება სწორედ დღეს, პროლეტარულ რიგებში. საკვლევა-ძიებო მუშაობა არავისათვის გამორიცხული არ არის და უდაო უნდა იყოს ის გარემოება, რომ არც ერთ ჯგუფს, არც ერთ კოლეგიას, არც ერთ კორპორაციას არ აქვს უფლება მონოპოლია გამოაცხადოს „ვეფხის ტყაოსნის“ კვლევა-ძიებაზე. ჩვენი დღევანდელი დისკუსია არის მხოლოდ პირველი ნაბიჯი. შემდეგში „ვეფხის ტყაოსანი“ უეჭველია ძალიან დიდხანს დარჩება კვლევა-ძიების საგნად, რადგანაც მისი კრიტიკული განხილვა, მისი ნამდვილი მეცნიერული შესწავლა ეს არის ახლა იწყება.

დღევანდელი ჩვენი კრება, რომელიც შერჩევით არის მოწვეული, მე მგონია სავსებით უზრუნველყოფს ობიექტური განხილვისათვის შესაფერ ატმოსფერას. ამ იმედით ვხსნი დისკუსიას.

მიხ. ჯავახიშვილის მოხსენება

ორიოდე თვის წინად საქ. საბჭოთა მთავრობამ დაადგინა: ორი წლის შემდეგ ძეგლი დაუდგას ქართული სიტყვის უდიდეს გენიოსს — შოთა რუსთველს, დაარსდეს მისი სახელობის პრემიები, კითედრა და დადგენილ იქნას „ვეფხის ტყაოსნის“ საბოლოო ტექსტი.

ეს გარემოება ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რა რიგად აფასებს პროლეტარიატი და მისი ხელისუფლება უწინდელ კულტურას და ამავე დროს მოვალედ გვხდის ეს კულტურა სავსებით გამოვიყენოთ, მისი შესწავლით ჩვენი შემოქმედება გავანაყოფიეროთ და თუ რუსთველს არა, მის მომდევნო მგოსნებს მაინც ვაჯობოთ. ჯობნა კი მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, როცა საერთოდ კულტურის უმაღლეს საფეხურს მივაღწევთ, და ამავე დროს ჩვენ წინაპარ კლასიკოსებსაც საფუძვლიანად შევისწავლით.

ცხადია, „ვეფხის ტყაოსანი“ ჩვენ წინაპრებსაც უთვალავჯერ უქექიათ, მისი ნამდვილი სახის აღდგენა უცდიათ. შედეგად რამდენიმე ათეული ხელნაწერი და ე. წ. ვახტანგისეული ვარიანტი შეგვრჩა. მას შემდეგ მარი ბროსემ, ჩუბინაშვილმა, ქართველიშვილის გამოცემის რედაქტორებმა, ი. აბულაძემ, ს. კაკაბაძემ—შეიმუშავეს და დაბეჭდეს „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტები, ხოლო რამდენიმე თვის წინად საკუთარი ტექსტი მოგვაწოდა კ. ჭიჭინაძემ. ვახტანგისეული ვარიანტი ყველაზე უფრო გავრცელებულია, უფრო მოკლეა და ხნიერი, ხოლო ჭიჭინაძის მიერ დადგენილი ტექსტი ყველაზე უფრო სავსეა და ახალგაზრდა. მეც მხოლოდ ამ ორ ტექსტზე შევჩერდები და უმთავრეს ყურადღებას მივაქცევ პოემის ფაბულას, სიუჟეტსა და კომპოზიციას.

ცხადია, უცნობმა ავტორებმა „ვეფხის ტყაოსანს“ ნებსით თუ უნებლიეთ მრავალი კორძი დაურთეს ერთ დროს კ. ჭიჭინაძეც ფიქრობდა, ეს დანამატები თითქოს რუსთველის ვარიანტები ყოფილიყოს, მაგრამ ბოლოს ჭიჭინაძეც დარწმუნდა ზოგიერთი ადგილის, და მათ შორის უკანასკნელ შვიდი თავის სიყალბეში, ვახტანგისეულ ტექსტს მხოლოდ ინდო-ხატაველთა ამბავი ჩაურთო და პრობლემა ახალნაირად დაგვიყენა. მიუხედავად ამისა, მისი თეორია რუსთველის სხვადასხვა ვარიანტების არსებობისა მაინც ცოცხალია. ყოვლად დაუჯერებელია, რომ რუსთველს თავისი უძვირფასესი პოემა მრავალჯერ არ შეესწორებიოს და რამდენიმე ვარიანტი არ გაევრცელებიოს. საოცარი მხოლოდ ის არის, რომ ჩვენმა მკვლევარებმა ეს ჭეშმარიტება ჭიჭინაძემდი არ აღნიშნეს და ყველა სადაო ადგილი ყალბისმქნელებს და გადამწერთა შეცდომას მიაწერეს.

მე შესაძლებლად მიმაჩნია, რომ ვახტანგისეული ტექსტი შოთას ერთერთი ყველაზე ნაკლებ დამახინჯებული, მოკლე ვარიანტი იყოს. თუ ამას მივიღებთ, მაშინ ისიც უეჭველად უნდა დავიჯეროთ, რომ შემდეგ სიმწიფეში შესული პოეტი დედანს უფრო შეავსებდა, ე. ი. პოემის სიუჟეტურ ხერხემალს უფრო გაამაგრებდა. ჭიჭინაძის დამუშავებული ტექსტიც სწორედ ამ ვრცელ ვარიანტს ემყარება.

„ვეფხის ტყაოსანი“ სანიმუშო რომანია, რომელიც, რამდენიმე პარალელურ მოთხრობას, რამდენიმე თემას და რამდენიმე კომპოზიციურ მეთოდს შეიცავს. ყოველ მათგანს საკუთარი სათავე, საკუთარი გეზი და საკუთარი ბოლო აქვს. რუსთველი ყოველ ამბავს დაუმთავრებელს არ სტოვებს, იმ მეორე რიგის გმირებსაც მეტად სათუთი ყურადღებით ეპყრობა და ბოლომდე მიგვითხრობს მათ ბედს. პოეტს ყველგან საოცრად უყვარს და გენიალურად ეხერხება ზეიმის, სიხარულის, ბედნიერების აღწერა და ამიტომ დაუჯერებელია რუსთველს იქ გაეთავებიოს პოემა, სადაც მას უდიდეს ბედნიერების აღწერის საბაბი ეძლევა. ეს სიხარული კი იწყება სწორედ ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ. ქაჯეთის ციხის აღებით თავდება მხოლოდ პირველი სიუჟეტური რკალი. მაგრამ პოემა ამით არ სრულდება, რადგან როგორც კ. ჭიჭინაძე საფუძვლიანად ამტკიცებს, პოემას აქვს მეორე სიუჟეტური რკალი, რომელიც არაბუნებრივად იკვრება, თუ საფუძვლად ვახტანგისეულ ტექსტს მივიღებთ. ვახტანგისეულ ტექსტში მეორე სიუჟეტს აკლია ღერძი, რომელიც მეორე რკალის ფაბულას სიმკვრივეს აძლევდა. დაეყრდნო რა ყველა ხელნაწერს, კ. ჭიჭინაძემ ეს ღერძი პოემის იმ ადგილს შეუდგა, სადაც უგანიერესი და ღრმესი ნაპრალი ჩანდა. ეს ღერძი გახლავთ ინდო-ხატაელთა ამბავი. მთელი პოემა აღნაგობით გუმბათიან ტაძარს გავს. გუმბათის როლს ტარიელის მიერ ტახტის ძიებისა და მისი მოპოების ამბავი ასრულებს. ვახტანგმა ეს გუმბათი მოსჭრა, მის მაგიერ ხახვის ოდენა ბოლქვი დაადვა და ამით დაარღვია პოემის საერთო სტილიც და კომპოზიციის მთლიანობაც, პროპორციის გრძნობაც და რომანის ელემენტარული წესიც.

პოემისათვის ინდო-ხატაელთა ამბავის აუცილებელ საჭიროებას ამტკიცებს არა მარტო ეს, არამედ ის გარემოებაც, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ აშენებულია არა მარტო რაინდობისა და მიჯნურობის კულტზე, არამედ მამულისშვილობის აპოლოგიაზეც, მეფისათვის თავდადების იდეაზე. პოემა უაღრესად ლეგიტიმისტურია: „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათი ზეცას რბიან“. მაგრამ ამავე დროს მარტო მეფეთათვის კი არა, ტარიელი ტახტის მემკვიდრეა. გარემოებამ იგი ტახტის მაძიებლად აქცია და არაბუნებრივი იქნებოდა, რომ რუსთველს თავისი მთავარი გმირი შუა გზაზე ტახტის მაძიებლად და მის მოპოებლად დაეტოვებია. ტარიელს ორი მიზანი აქვს: დაკარგული სატრფოს პოვნა და დაპყრობილი სამშობლოს განთავისუფლება, ტახტის დაბრუნება. ვახტანგისეულ ტექსტში ტარიელი აღწევს პირველ მიზანს, მაგრამ არა ჩანს თუ როგორ იბრძვის პოემის მთავარი გმირი მეორე მიზნის მისაღწევად. ვახტანგისეული ტექსტის რედაქტორებმა, რომლებმაც სწორედ ეს ადგილი ამოაგდეს, უნებურად ტარიელის გმირობა მისი მეორე მთავარი მიზანი მიჩქმალეს, დააქვეითეს და ამით შელახეს ტარიელის მამულიშვილობის გრძნობა.

მაგრამ იმ დებულებას, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი რუსთველის კალამს იკუთვნის და პოემის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს, გვიმტკიცებს ჭიჭინაძის მიერ შეტანილი თავების ლექსიკა, მეტაფორები, ბგერათა წყობა და რითმებიც. სადაო სამი თავის ალიტერაცია სავსებით ეგუება უდაო ტექსტის ალიტერაციას, რაიც თვალნათლივ გვიმტკიცებს, რომ სამივე თავი უაღრესად რუსთაველურია.

ინდო-ხატაელთა ამბავის შეტანის გარდა ჭიჭინაძემ პოემაში ასიოდე ტაეპი შეიტანა, ორმოცდაათი გაუგებარი ალაგი ახსნა და შეასწორა, მაგრამ მთავარი მაინც ინდო-ხატაელთა ამბავია. საჭიროა სწორედ ეს საკითხი გაირკვეს და ეს იქნეს უმთავრეს საკითხად მიჩნეული, და არა მხოლოდ ის, სწორად შეასწორა თუ არა კ. ჭიჭინაძემ პოემის ესა თუ ის ადგილი.

ჭიჭინაძემ დიდი დრო და ძალღონე მოახმარა „ვეფხის ტყაოსნის“ შესწავლას და რუსთაველოლოგიის სალაროში მოზდილი განძი შეიტანა. ამ განძს ზედმეტი შეფასების ხიფათი კი არა, მიფუჩეჩების საერთხე მოელის, რომელსაც რუსთაველის მკვლევარები იმედია აიცდენენ კ. ჭიჭინაძეს.

დისპუტზე გამოსულ სხვა, ორატორების გასწორებულისტენოგრამის უქონლობის გამო, რედაქცია ვერ ათავსებს მათი სიტყვების ანგარიშს. ანგარიშის დაბოლოებას მივცემთ შემდეგ ნომერში.

მართალი და პირდაპირი კრიტიკა

კრიტიკამ უნდა გაარკვიოს გზები საბჭოთა ლიტერატურისა და შეასრულოს იდეური ხელმძღვანელის როლი. ასეთი ლოზუნგით ჩატარდა კრიტიკოსების თათბირი, რომელიც მოწვეული იყო მწერალთა საბჭოს სამდივნოს მიერ 29 ნოემბერს.

შესავალი სიტყვით თათბირი გახსნა ამხ. დ ე მ ე ტ რ ა ძ ე მ, რომელმაც აღნიშნა კრიტიკის უდიდესი მნიშვნელობა მხატვრული ლიტერატურის ხარისხის ამაღლების საქმეში. ხაზი გაუსვა კრიტიკის ჩამორჩენას და ამ ჩამორჩენის უმთავრეს მიზეზებად აღნარა ის, რომ: „კრიტიკას არ ექცეოდა სერიოზული ყურადღება. იგი უფლებრივად გათანასწორებული არ იყო მწერლობის სხვა ჟანრებთან. არ არსებობდა გეგმიანობა, დღემდე არ იყო შექმნილი ცენტრი, რომელიც კონკრეტულ ხელმძღვანელობას გაუწევდა კრიტიკოსებს ყოველდღიურ მუშაობაში, იზრუნებდა მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, დაწინაურებდა ახალ კადრებს და სხვა“.

კამათში გამოსული ამხანაგები ერთხმად აღიარებდენ კრიტიკის როლის შემცირებას და აყენებდენ კონკრეტულ ღონისძიებებს ასეთი მდგომარეობის ლიკვიდაციისათვის.

„კრიტიკოსი უნდა იცნობდეს ცხოვრების ახალ მოვლენებს, ახალი ცხოვრების ტენდენციებს. როგორც სხვა ჟანრის მწერლები, კრიტიკოსებიც უნდა იგზავნებოდენ საწარმოო მივლინებებში“ (გ. ქ ი ქ ო ძ ე).

„გარდა სინამდვილის უშუალო შეცნობისა გვჭირდება კადრების გადამზადება, კრიტიკოსის აღზრდა, ამიტომ საჭიროა ხშირი დისკუსიები, შეკრება, აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის“ (ა. ა რ ს ე ნ ი შ ვ ი ლ ი).

„არ კმარა მარტო მატერიალური უზრუნველყოფა. საჭიროა კრიტიკოსის პოლიტიკური აღზრდა. არა მარტო ლიტერატურის მცოდნეობა, არამედ პოლიტიკური გათვითცნობიერებაც“ (გ. მ. მ დ ი ვ ა ნ ი).

„იმისათვის, რომ კრიტიკას მეტი ღირებულება მიეცეს, საჭიროა კრიტიკოსების არა მის პირდაპირ საქმისგან განტვირთვა, რომ მათ შესძლონ კრიტიკულ წერილებზე უფრო მეტი იმუშაონ, უფრო ღრმად დაამუშაონ საკითხები. კრიტიკა აბუჩად არის აგდებული იმიტომ, რომ კრიტიკოსი არ წერს იმას, რასაც ფიქრობს. დღემდე ადგილი აქვს „პადხალიმობას“ და ჯგუფობრიობას, რის გამოც მწერლებს არ სჯერათ კრიტიკოსების“ (ბ. ბ უ ა ჩ ი ძ ე).

„კრიტიკოსი არ უნდა ატყუებდეს მწერალს თითქოს ის აბსოლუტურად მიუკერძოებელია, განსაზღვრული შემოქმედებითი იდეებისადმი მიკერძოება აუცილებელია. კრიტიკა უნდა იყოს მართალი და პირდაპირი. კრიტიკოსი უსათუოდ განსაზღვრული მიმდინარეობის წარმომადგენელი არის, მაგრამ იგი სრული სიმართლით, პატიოსნებით უნდა უდგებოდეს სხვა, მის მიერ მოწონებული მიმდინარეობის გარეშე მდგომ მწერლების ნაწარმოებებსაც. არა მარტო მატერიალური და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, არამედ კრიტიკის ძირითადი ხაზის დაცვა. კრიტიკის მოქალაქეობრივი ამაღლება ახწევს მის ღირებულებას“ (პ. ქ ი ქ ო ძ ე).

„უნდა მოვახდინოთ კრიტიკულ ძალთა დიფერენციაცია, მათი განაწილება სხვადასხვა საკითხების მიხედვით. ერთნი უნდა მუშაობდენ და დასპეციალისტდენ ახალ ლიტერატურის საკითხებზე, სხვებმა კი შეისწავლონ ძველი და დასავლეთ ევროპის ლიტერატურა“ (შ. რ ა დ ი ა ნ ი).

„ყველა ამ საქმეთა მოწესრიგება-მოგვარება უნდა ევალებოდეს სპეციალურ სექციას, რომელიც კრიტიკოსთა კადრებს თავს მოუყრის და ყოველდღიურად იზრუნებს ამ კადრების მუშაობის მაღალ ხარისხისათვის“ (ს. ე ულ ი).

ბოლოს თათბირზე სპეციალური განცხადებით ჩვენი გაზეთის სახელით გამოვიდა რედაქციის წარმომადგენელი, რომელმაც სთხოვა მარქსისტულ ლიტერატურულ კრიტიკოსებს დაეხმარონ გაზეთს მისი მუშაობის ყველაზე სუსტ პუნქტში: კერძოდ კონკრეტული და პრობლემური კრიტიკის გაძლიერების მხრივ. კრიტიკამ გაბედულად და ობიექტურად უნდა სწეროს კონკრეტულ ნაწარმოებებზე და ამასთანავე ერთად საჭიროა პრობლემური ხასიათის წერილები ჩვენი ცოცხალ ლიტერატურულ ფაქტებზე დამყარებით. პრობლემური კრიტიკის ხაზით ჩვენ განსაკუთრებული სიძნელეები გვაქვს: კრიტიკა ვერ შეეჩვია ცოლხალ ლიტმასალის საფუძველზე განსაზღვრული პრობლემების დასმას და გადაჭრას.

ᲕᲘᲚᲯᲘᲣᲜᲘ ᲮᲘᲠᲮᲠᲓᲐᲒᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲐ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

ᲜᲘᲙᲝᲚᲝ ᲛᲘᲬᲘᲨᲕᲘᲚᲘ

1924 წლის დამლეგს პარიზის ერთ-ერთ თეატრალურ დარბაზში სომხეთის ემიგრაციას დიდი ზეიმი ჰქონდა გამართული: დღესასწაულობდენ საზღვარ-გარეთ საკმაოდ ცნობილი პოეტის არშაკ ჩობანიანის იუბილეს.

იმ საღამოს მე და პოეტ ოვანეს თუმანიანის შვილი ჰავლიკ ვიმყოფებოდით ჰოტელ „იენა“-ში საბჭოთა სომხეთის მიწათმოქმედების კომისარ ამხ. ა. ერზინკიანთან, რომელიც იმ დროს პარიზში იყო ჩამოსული.

გადავწყვიტეთ იუბილეზე წასვლა და თუმცა სახიფათო იყო ბოლშევიკ-კომისრის ასეთ შეკრებულებაში გამოჩენა, ჩვენ რამდენიმე წუთის შემდეგ ვისხედით „გავოს“ დარბაზის ერთ ერთ ლოჟაში.

თეატრში თ ვე მოეყარა დაშნაკელების მეთაურებს და სომხური ემიგრაციის წარმომადგენლებს და იუბილეს პოლიტიკური დემონსტრაციის ხასიათი ეძლეოდა.

ეს პოეტი ძველი და სასულიერო მწერლობის თვალსაჩინო მოღვაწე ყოფილა და კერძოდ ბევრი უმუშავნია ამ მწერლობის ფრანკულად თარგმნისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა მისვლამ და განსაკუთრებით ბოლშევიკ ერზინკიანის იქ გამოჩენამ დიდი სენსაცია გამოიწვია, ჩვენ მაინც ბოლომდის დავრჩით ამ საგულისხმიერო დემონსტრაციაზე.

სცენაზე იყო თვით იუბილარი, საშუალო ტანის მოხუცი. გარშემო—საზეიმოდ შემკული ცამეტი თუ თოთხმეტი თეთრწვეროვანი სასულიერო პირი — კათალიკოზიდან მოყოლებული დეკანოზამდე. იქვე ისხდენ საფრანგეთის ანტისაბჭოთა წრეების წარმომადგენელნი, რომელთაც იუბილარს უძღვნეს საპატიო ჯილდო.

ჩვენ ვისხედით და ვისმენდით შეუწყვეტელ ლოცვას და ალილუიას მრავალტანჯული სომხეთის საკეთილდღეოდ და ხელაპყრობილ შეჩვენებას ამ ქვეყნის „მტანჯველ და მჩაგვრელ“ ბოლშევიკებისადმი აქ იყო წარმოდგენილი მთელი ის ძალა, რომელსაც ემყარებოდა და დღესაც ემყარება საბჭოთა ქვეყნიდან აღგვილი დაშნაკური ემიგრაცია: ღმერთი ბურჟუა და იმპერიალიზმი. აქ იყო ლაპარაკი სომხეთის ხალხზე, რომელიც უნდა „აღდგეს“, ღმერთზე, რომელიც განდევნილია საბჭოთა სომხეთიდან და მასვე უნდა დაუბრუნდეს მოკლე ხანში, კულტურაზე, რომელიც იღუპება ბოლშევიკების ხელში. და იყო მოწოდება „ცივილიზაციისადმი“—გვიშველეთ, ნუ ჩაგვტოვებთ ბოლშევიკების ხელშიო.

ამ ჰანგებს ეხმატკბილებოდა ქართველი მენშევიკების წერილობითი თანაგრძნობაც, ვინაიდან დაშნაკი და მენშევიკი ერთ სახარებას ჰკოცნის, თუ კი საქმე ბოლშევიკის დაღუპვას შეეხება.

ასეთი იყო სახე სომხეთის „მოჭირისუფლე“ ძალებისა. და ამ ნომენკლატურაში, მას შემდეგ არაფერი არ შეცვლილა, არც ერთი მოტივი...

ქართველ მწერალთა დელეგაციამ რამდენიმე ხნის წინათ საკუთარი თვალით ნახა, თუ რა კეთდება დღეს ამ ქვეყანაში და როგორ აშენებს თავის სახელმწიფოს სომეხი მუშა და გლეხი.

შესანიშნავად დაცული და ახალი ცხოვრების საჭიროებისათვის გამოყენებული ძველი კულტურის ძეგლები, ახალი არხები, ასე დოვლათიანად რომ ნამავენ სიცხით გადამხმარ სომხეთის ველებს, ერევნის ელსადგური, ლენინაკანის ელსადგური, ძორაჰესი, კარაკლისის ქიმკომბინატი, ლენინაკანის საქსოვი დიდი ქარხანა, ახლად გაშენებული სოფლები, შესანიშნავი გზები (ექვსას კილომეტრამდე გაყვანილი საბჭოთა ხელისუფლების დროს), კოლმეურნეობანი, რომელთა სისტემაში დღეს სომხეთის მცხოვრებთა ნახევარზე მეტი შედის. კერძოდ სევანის ტბის გამოყენება, რომელიც უკვე ხორციელდება, და კანაკირის ელსადგურით გახსნის ელსადგურების მთელ ჯგუფს (ათ სადგურს), რომელთა ძალა მოხმარდება უკვე წამოწყებულ ინდუსტრიალურ ერთეულებს.

ეს ისეთი მაჩვენებლებია საბჭოთა სომხეთის წინსვლისა და აღორძინების, რომ ვერავითარი დაშნაკური ღალადისი ამ ფოლადს ვერ გადრეკს, ვინაიდან ამ ლითონს სჭედავს ძალა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მტრებს ანგარიშში არ ჩაუგდიათ—მუშა და გლეხი.

განცვიფრებით აღსანიშნავია საბჭოთა სომხეთის მიღწევანი კულტურულ, კერძოდ სამწერლო და საგამომცემლო დარგში: გამომცემლობის სფეროში სომხეთს შეუძლია იამაყოს მთელს კავშირში.

ლენინის თხზულებანი სომხურ ენაზე, „კაპიტალი“ და მხატვრული მწერლობის იშკიათი გამოცემანი პირველ რიგში აყენებენ სომხეთის გამომცემლობას, ხოლო საბჭოთა სომხეთის თანამედროვე მწერალთა საინტერესო შემოქმედებითი ნიმუშები — შირვანზადესი, ჩარენცის, ისაკიანის, მაჰარის, ნორენცის, ბაკუნცის, ვშტუნის და სხვ. დამახასიათებელია არა მარტო საბჭოთა სომხეთის კულტურული სიძლიერის, არამედ იმ სისტემის ცხოველმყოფელობისაც, რომელიც კეთილ დაღს აჩენს ყოველი ხალხის ცხოვრებას, სადაც ის დამკვიდრდება.

ჩვენ, ახალ საქართველოს მწერლებსა და ხელოვნების წარმომადგენელთ მთელ ქართველ ხალხთან ერთად არ შეგვიძლია აღფრთოვანებით არ მივეგებოთ ჩვენი თანამოძმე ერის ასეთ წინსვლას და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის თოთხმეტი წლის თავზე ერთხელ კიდევ არ გამოვთქვათ ჩვენი რწმენა, რომ შრომისა და ერთა სოლიდარობის გზა, რომელზედაც სომხეთის ხალხი იბრძვის დღეს კომუნისტური პარტიის მეთაურობით, არის ერთადერთი გზა ძველად დაჩაგრულ ხალხებისათვის, ამ გზაზე წარმატებით მიდის წინ მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად ჩვენი ქვეყანაც და ეს გზა მიგვიყვანს იმ საკაცობრიო პრინციპების საბოლოო გამარჯვებამდე, რომლის მატარებელია ძლევამოსილი კომუნისტური პარტია.

კოჯორიანი — კომუნისტების დახვრეტა ხანგეზურში

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲐᲖᲐᲢ ᲕᲨᲢᲣᲜᲘ

ჩემი კალამი შენი იყოს, ბოლშევიკურო
ხელოვნება!
შენ გამოჭედე ჩემი თრთოლვა და აზროვნება.
ჩვენ აღმავლობის გზაზე, როგორც მზე
ამობრწყინდი.
ჩვენ დიად დღეთა შენ მოწამე იყავი წმინდა.
აღმშენებელი და დამრღვევი იყავი, ვით
კლასი.
საზღვარ ზრახვებს იერიში შენი ათასი.
ხედავ, დამკვრელთა სახეები როგორ
ბრწყინავენ,
იყავ მათ რიგში ხელმძღვანელი და მოწინავე.
ჩემი კალამი, ხელოვნებავ, იყოს გამკვეთი.
მუშების იყოს ჩემი სისხლის ყოველი წვეთი.
უშიშარ რწმენით შენ დაჭიმე მძლავრი
კუნთები.
და ვით მებრძოლმა გადალახე ყველა ხუნდები.
მადნის სიღრმეში, ქარხანაში, ზღვაზე, ზღვის
ქვეშით.
იყავ შრომის და გამარჯვების შენ გამომწვევი,
იყავ მარადის გაბედული, იყავი ბრძენი.
იყოს ფხიზელი და წამყვანი სიტყვები შენი.
ბოლშევიკურო ხელოვნებავ! ჩემი კალამი
შენ გეკუთვნოდეს,—ანთებული ყოველი წამით.
ო, დაასველე წვიმის მსგავსად მიწა მშობელი.
ჭრელ ყვავილებით დაამშვენე ჩვენი სოფელი.
ენთუზიაზმით აგზნებული იყავ მთესველი,
ჩვენი უსაზღვრო მინდვრებისა შეიქენ მხვნელი,
თვითონ სტიქიებს შეებრძოლე შენი ზარებით,
დასწვი წარსულის მოგონება და იარები.
ბოლშევიკურო ხელოვნებავ! ჩემ კალამს გწირავ.
ძველ საუკუნეს შენ ისრებით ისევ განგმირავ.
შენ სანგრებიდან დაუღალავ მტერს უდარაჯებ.
და ერთი წუთით შეს არა ხარ საფრთხის
გარეშე.
რითმით, ჰანგებით, ფერადებით იყავ ძლიერი.
ახალ ცხოვრების შენ საყვირი გახდი ხმიერი.
ჩაგრულ ქვეყნების მილიონებს შენ გაუძეხი,
იქაც გავარდეს აჯანყების ალური მეხი.
შენთან მოვდივარ, ხელოვნება, ჩემი კალამით,
იყავი სარკე სინათლისა, იყავ ალამის!
ენერგიისა და ფორმისა იყავ ოსტატი,
თვით რაფაელი დაამარცხე, ნიმბი მოსტაცე.
ოქტომბრის ცეცხლით აგრიალდი, იყავ
მჭედელი.
და ძეგლი დადგი—ახალ გმირის გამომკვეთელი.
მაღალ იდეით, შთაგონებით მთები დასძარი,
თვითონ ჰომიროსს გაუტოლდი და გაასწარი.
ბოლშევიკურო ხელოვნებავ! დე, სიტყვა ჩემი
შენი მუსიკის, ძლიერების იყოს მომცემი.
მილიონები დაატყვევე ჰანგების ტევრით
და მსმენელები გეყოლება მარადის ბევრი.
მიეცი ძალა უჩვეულო წელთა მსვლელობას,
ჩვენი სიცოცხლე—საუკუნის დიდ
დამკვრელობახ!
და შრომის გზაზე ქედმაღალი ხალხი
გაასწრებს
ბეთხოვენისა და ვაგნერის შემოქმედ აზრებს,
ბოლშევიკურო ხელოვნებავ! მდაგავს სურვილი:
ვიყო ლენინის მაღალ აზრით მე აღჭურვილი,
უთვალავ მასებს ფრთაგაშლილი წინ გაუძეხი,
იყავ მტრებისთვის ამომგდები სასტიკი მეხი.
შენ მშრომელების უძლეველი დარაზმე ჯარი,
წინ წადი, როგორც ალისფერი დროშა და
ქარი.
ბოლშევიკურო ხელოვნებავ! გაჩაღდი მეტად,
მომავლის გზაზე აიმართე სინათლის სვეტად!

თარგმანი **ვალ. გაფრინდაშვილისა**

ᲡᲐᲘᲐᲗᲜᲝᲕᲐ

ᲢᲘᲪᲘᲐᲜ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ

როგორც მოსალოდნელი იყო, სრულიად საკავშირო საბჭოთა მწერლების ყრილობის შედეგები დღითი-დღე ახალ გასაქანს ჰპოვებენ და უფრო და უფრო ფართოვდება მოქმედების რადიუსი. საკმარისია გადავათვალიეროთ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების გამომცემლობათა გეგმები, რომ აშკარა გახდეს, რა მნიშვნელოვანად შეიძრა მწერლობის მთავარი ფენა, რა ახალი სახელები ჩნდებიან საბჭოთა კავშირში, სახელები რომელთაც წინად არც ერთ გამოცემათა ლიმიტში ადგილი არ ჰქონდათ.

უცხოელი მწერლები, რომელნიც დაესწრენ ამ ყრილობას და თავიანთ ქვეყნებში აკეთებენ მოხსენებებს ყრილობის შედეგებზე,—განსაკუთრებით აღნიშნავენ საბჭოთა კავშირში შემავალ ერთა ლიტერატურის სხვადასხვა სახეობას, მათ კულტურულ წარსულსა და მომავალ პერსპექტივებს.

უეჭველია, ერთი და ორი წლის გასაკეთებელი საქმე არ არის ასეთი სხვადასხვა ერთა მწერლობის გაცნობა, როგორც ერთი და ორი წელი არ შექმნილა ის მწერლობა, რომელიც ამ ეროვნებას მოეპოება. აგრეთვე ერთ დღეს და ერთ წელს არ შეიძლება აღდგეს ის რეპუტაცია, რომელიც დაეცა უგეგმოდ და უთადარიგოდ მიწოდებულ წიგნების გამო; ყრილობაზე და ყრილობის შემდეგაც გამოირკვა, რომ რუსი მწერლები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან უფრო მცირე ერთა ლიტერატურას და თუ ეს პასუხისმგებლობა იმატებს, მალე ჩვენ ვიხილავთ რუსულ ენაზე სხვა ერთა საუკეთესო მწერლების თარგმანებს. არ შეიძლება ითქვას, რომ ასეთ პასუხისმგებლობას ჰქონდეს ადგილი დანარჩენ ერთა მწერლებში. სამარცხვინოა ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა.

განა უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის, საქართველოს, აზერბეიჯანის, ებრაელებისა და შუა აზიის მწერლები იცნობენ ერთმანეთის ნაწერებს? განა რომელსამე ამ ენაზე არსებობს მოძმე ერის ლიტერატურის ისტორია ან ნათარგმნი, კლასიკოსები ან თანამედროვენი? ხშირად მეზობლებს ერთ ქალაქში მცხოვრებთ ერთმანეთის ენა არ გვესმის, ერთმანეთის ძველი კულტურის ისტორიის არაფერი გაგვეგება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში წარსულ საუკუნის სადაო საერთო ისტორიის საკითხებს, რომლებიც პამფლეტებად იწერებოდა და ინტერნაციონალური აღზრდის მაგიერ შოვინიზმსა და ხალხთა სიძულვილს ნერგავდა!

შეიძლება ითქვას, რომ კავკასიაში მოსახლე ერთათვის მიუღწეველი იდეა-

(გაგრძელება შემდეგ გვერდზე)

ილია ჭავჭავაძე როგორც მთლიანი პიროვნება

1

ილ. ჭავჭავაძის ძალაც და სისუსტეც მისი აზროვნების მონოლითობასა და განუკვეთელობაშია.

ილია ჭავჭავაძის შესახებ უწინ მეტად ყალბი აზრი იყო გავრცელებული, თითქოს ეს დიდი მწერალი პუბლიცისტიკაში ერთი იყო და მხატვრულ ლიტერატურაში—მეორე. ასეთი აზრის განმტკიცებაც უსათუოდ ხელს შეუშლის ილია ჭავჭავაძის სწორ გაგებას და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის კრიტიკულ ათვისებას. ამ მხრით სავსებით გამართლებულსა და საღს პოზიციაზე დგას ამხ. მ. ტოროშელიძე, რომელმაც თავის სიტყვაში ქართული ლიტერატურის შესახებ თქვა: „ი. ჭავჭავაძეში არ ცხოვრობს „ორი სული“. მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მის პოეტურ შემოქმედებასთან და მისი მთლიანი პიროვნება ამჟღავნებს იმაზე არა მეტ წინააღმდეგობებს, ვიდრე ეს სჩვევია ცხოვრების ყოველ მოვლენას... მის პუბლიცისტიკასთან ერთად მისი პოეტური შემოქმედების უკუგდება ნიშნავს მთელი იმ უდიდესი ღირებულების გაუგებლობას, რომელიც უთუოდ აქვს მის ნაწარმოებებს“. შეიძლება მეტიც ითქვას. ამ გაუგებლობასთან ერთად უნდა მოისპოს მეორე გაუგებლობაც, თითქოს ილია ჭავჭავაძე მწერლობაში ერთი იყო და კერძო ცხოვრებაში—მეორე. „ორი სულის“ მატარებელი ილია ჭავჭავაძე არც აქ ყოფილა. ამ შემთხვევაშიაც ილია ჭავჭავაძე მთლიანი, თავისი თავისა და სოციალური ბუნების ერთგული იყო.

ამიტომ ილია ჭავჭავაძის სწორი გაგების წინასწარი პირობაა—უკუგდებულ იქნას ყალბი წარმოდგენა მის წინააღმდეგობათა შესახებ და შეფასება დაიწყოს იმ ერთადერთი სწორი შეხედულებიდან, რომ ილია ჭავჭავაძე თავის მრავალფეროვან მოღვაწეობაში მუდამ მონოლითურ და მთლიან პიროვნებად რჩებოდა.

2

ამ პატარა წერილში მე მინდა მოვიყვანო მხოლოდ რამდენიმე ნიმუში ილია ჭავჭავაძის აზროვნების ასეთი მთლიანობისა. ილია ჭავჭავაძე კერძო საკუთრების საფუძველზე დგას და მისი ნაწერებისა და მოქმედების გაგება ან შეფასება გარეშე ამ შეხედულებისა, აბსოლუტურად შეუძლებელია. ამ მხრით ილია ჭავჭავაძე პირდაპირია, უდრეკი, ჯიუტი და თავისი თავის ერთგული—ყრმობიდან მოხუცებულობამდე. ვერც პატრიოტული რადიკალიზმი, ვერც ძველ თაობასთან გამართული პოლემიკური შედეგრები, ვერც უდიდესი მხატვრული ნაწარმოებნი, ვერც ისტორიული კვლევა-ძიებანი, ვერც პრაქტიკული ღონისძიებანი ილია ჭავჭავაძეს ამ პოზიციიდან ვერა სძრავს. პირიქით, მთელი მისი შეგნება, სულიერი განწყობილება, ნებისყოფა, პრაქტიკული წინადადებები გაჟღენთილია იმ რწმენით, რომ კერძო საკუთრების ხელის შეხება არ შეიძლება და რომ ცხოვრების გაუმჯობესება უნდა ხდებოდეს მხოლოდ კერძო საკუთრების შეურყევლად. ამ აზრისა იყო ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი ცხოვრების მახძილზე. ადამიანებსა და მოვლენებსაც ილია ჭავჭავაძე ამ თვალსაზრისით აშუქებდა და ზომებსაც საზოგადოებრივი ცხოვრების გასაუმჯობესებლად მხოლოდ აქ ეძებდა. ამიტომ ილია ჭავჭავაძის მორალური ღირებულებანიც ყოველთვის კერძო საკუთრების პატივისცემის დაფასებას უკავშირდებოდა.

„მე ჩემი მომეც, შენ შენი გქონდეს, და შენს სახელსა მტლად დავედები,

ათქმევინა გლეხს ჯერ ისევ 23 წლის ჭაბუკმა ილიამ („კაკო ყაჩაღი“).

„ეგა სჯობია ჩემ ნახვასა, ჩემო გლახავ. შენს საქმეზედ იყავ ბეჯითი, გულმოდგინე, ერთგული, რომ ღმერთიც მადლობელი იყოს და კაციც! რასაც ვიკისრებთ, ის უნდა ავასრულოთ კიდეც. ლუკმა მაშინ არის ტკბილი, როცა კაი კაცობით არის ნაშოვნი. ჩემი ნახვა ძმავ, ისე საჭირო არ არის: არა კაცი იმოდენა სიკეთეს არ მოგცემს, რამოდენადაც შენის ვალის ასრულება“.

ათქმევინა 25 წლის ილიამ მღვდელს, რომელიც მოჯამაგირე გლახას თავისი პატრონობის ერთგულობას ასწავლის („გლახის ნაამბობი“).

„ბარაქალა, რომ აგრე მუყაითი ყოფილხარ შენი მოვალეობის აღსრულებისათვის. ჭადი, უშოვნე და ჩააბარე“—

მოსწონს პოსრედნიკის სიტყვები 28 წლის ილიას („სცენები“).

„ის დავა მქონდა, რომ მაგისთანა ნამუსახდილ კაცისაგან ქვეყანა დაღუპულია. კაცი კაცს ვერარა ნდობია. მაგის გამოისობით კარგს მოჯამაგირესაც სახელი აქვს გატეხილი“,—

თავმომწონედ ათქმევინა გიორგის 50 წლის ილია ჭავჭავაძემ („ოთარაანთ ქვრივი“).

ეს სიტყვები ილია ჭავჭავაძეს შემთხვევით არ წამოცდენია. ეს არც მხატვრული ფანდია და არც მხოლოდ გიორგის დასახასიათებლად მოყვანილი წარმავალი რეპლიკა. ერთგულება მემამულისადმი ისეთსავე ვალდებულებად მიაჩნია ილია ჭავჭავაძეს, როგორც ერთგულება კერძო საკუთრებისადმი. ან უკეთ რომ ვთქვათ, ილიას აზროვნებაში ერთგულება მემამულისადმი ლოგიკური და აბსოლუტურად ურყევი შედეგია კერძო საკუთრებისადმი. მემამულეებისადმი ე. ი. მამულის პატრონისადმი ერთგულებისა, განურჩევლად იმისა, თუ რომელი წოდების წარმომადგენელია მამულის მფლობელი, ილია ჭავჭავაძე დიდ ერთგულებას იჩენს. „ეთქვათ, ვისმე მამულში უმამულო კაცს მივასწარით, მამული მემამულეს წავართვით და უმამულოს მივეცით. [illegible] ხომ ისევ იმ გაჭირვებას მოვახლის დროთა მდინარეობა. მაშინ, რაღა ექნათ? კიდევ წავართოთ? ეგრე რომ ვაროთ, დღევანდელ მემამულეს ხომ სულ ჩამოერთმევა მამული და ახლა ის გაგვიხდება თავში საცემი“,—სწერს 50 წლის ილია ჭავჭავაძე უკვე პუბლიცისტურ ნაწარმოებში იმავ წელს, როცა მან თავისი მხატვრული შედეგრი „ოთარაანთ ქვრივი“ დაწერა.

3

„მე და ჩემი მეუღლე მემამულენი ვართ,—პირდაპირ, მოურიდებლად, თამამად აცხადებს 68 წლის მოხუცი ილია ჭავჭავაძე 1905 წელს, რევოლუციური ქარტეხილის მომენტში, როცა ბევრმა თხუნელამ მოისურვა სოროდან ამოძვრომა და თვალთმაქცური სამოსელის ჩაცმა,—არც მე და არც ჩემს მეუღლეს არც ერთი ნაყმევი, არც ერთი ხიზანი არა გვყავს, არამც თუ საგურამოს, არამედ მთელს დედამიწის ზურგზე. ჩვენ ორს რაც მამული გვაქვს, სრულ თავისუფალი და დამოუკიდებელია სხვისაგან. მაშასადამე, მამულის გამო ჩვენ ვერაკაცი ვერც ნაყმეობით, ვერც ხიზნობით ვერას წაგვედავება, ვერას დაგვემდურება, თუ სადმე განკითხვა და სამართალია. მართლაც, რა სიმართლე, რა საბუთი აქვს გლეხ-კაცს, რომელიც არც ხიზანია თქვენი, არც ნაყმევი, რომ თქვენ მამულზე ხელი გაიწოდოს მაშინ, როდესაც კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უდევს მთელ ცოვრებას... დედამიწის ზურგზე“ (ნუ თუ?).

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძის ყოველგვარ ნაწერში, 23 წლეს ჭაბუკობიდან დაწყებული 68 წლის მოხუცებულობამდე ერთი ხაზი დალარია გავლებული. ეს ხაზი და ლარია ერთგულება კერძო საკუთრებისადმი და ამ ერთგულებაზე დამყარებული საზოგადოებრივი საქმიანობა და მორალური ღირებულებანი. მაგრამ ამასთანავე ერთად უაღრესად შემცდარია ის აზრი, თითქოს ილია ჭავჭავაძე მხოლოდ ფეოდალურიმესაკუთრეობის ჯიუტ დამცველად გამოდიოდა. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ მის მხატვრულ ნაწარმოებსაც აღარ ექნებოდა ის დამაჯერებელი სითბო, რომელიც დღეს აც გვხიბლავს და გვაღელვებს. ილია ჭავჭავაძე, რომ მხოლოდ თავად-აზნაურობის ქურუმი ყოფილიყო, მაშინ ის დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობაზე შორს ვეღარ წავიდოდა და ჩვენც აღარც „კაციადამიანი“ გვექნებოდა, აღარც „გლახის ნაამბობი“, აღარც „განდეგილი“ და აღარც „ოთარაანთ ქვრივი“.

გარდა ამისა, ილია ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ ნაწერებშიც უბრუნდებოდა ამ საკითხს და ერთს თავის 1882 წელს გამოქვეყნებულ წერილში ამბობდა: გლეხის გამამულიანება ფრიად საჭირო და სანატრელია. ილია ჭავჭავაძე იკვლევს გლეხების მდგომარეობას, ააშკარავებს ამ მხრივ დიდს გაჭირვებას და დასძენს, ამაზე უფრო დიდი ჭირი ჩვენს ქვეყანას ამჟამად არ ადგია. ამაზე უსაჭიროეს საქმეს ჩვენი მწერლობა და საზოგადოება ვერ აღძრავს. ილია ჭავჭავაძე ამ „ჭირს“ კარგად გრძნობდა და განსაკუთრებულ მალამოდ მხოლოდ იაფი კრედიტი მიაჩნდა. ესეც საუკეთესო ნიმუშია მისი აზროვნების მთლიანობისა. ილია ჭავჭავაძე სოციალურ საკითხებში არასოდეს რევოლუციური ბრძოლის სიმაღლემდე არ ასულა და ხშირად ისეთ რადიკალურ ზომებსაც-კი ერიდებოდა, რომლებსაც შეეძლოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არევ-დარევა და მიხლა-მოხლა გამოეწვია. ილია ჭავჭავაძეს სურდა გლეხის „გამამულიანება“ კერძო საკუთრების ხელშეუხებლად მომხდარიყო. ეს გზა კი არის გზა კომპრომისებისა, ნახევარ ზომებისა, ჩვეულებრივი, ნაცნობი გზა ლიბერალური ინტელიგენციისა.

ალ. ჯაჯანაშვილი

საიათნოვა

(დასასრული)

ლია—საიათნოვას ბედი. ეს გამოჩენილი აშუღი ერთნაირად კარგად წერდა და მღერდა ქართულად, სომხურად და თურქულ-სპარსულად. ჩვენი მოდგმის პოეტებს არა თუ ამ სამ ენაზე წერა, ერთმანეთის წაკითხვა და გაგებაც ვერ მოგვიხერხებია. მარტო ამითაც საიათნოვა გამოსარჩევია და გამოსატანი, რომ ჩვენმა თაობამ იცოდეს მისი უდიდესი დამსახურება.

ჩვენ კი დღეს იმდენი ვერ მოგვიხერხებია, რომ საიათნოვას ლექსები ერთ წიგნად შეიკრიბოს და გამოიცეს ქართულად, სომხურად, თურქულად და შემდეგ ყველა ლექსი ერთად ითარგმნოს რუსულ ენაზე. მე მინდა სწორედ ეს საკითხი დავსვა რეალურად და საერთო ძალით გამოვნახოთ ღონისძიება, რომ ეს არ დარჩეს მარტო სურვილად, რომელსაც ყველა მისალმებია კიდეც, მაგრამ ვერ განხორციელებულა. ამ გამოცემასთან დაკავშირებით უნდა დადგეს აგრეთვე საკითხი საიათნოვას საერთოდ აშუღურ პოეზიის მეცნიერულ ისტორიის დაწერისა. ვ. ბრიუსოვი, რომელსაც ჰქონდა დიდი ავტორიტეტი პოეტური განაჩენის გამოტანისთვის და რომელიც საფუძვლიანად იცნობდა საიათნოვას ლექსებს, ტექსტების ზედმიწევნით თარგმანს, ასე წერს მასზე:

— „მხოლოდ მე-18 საუკუნეში შემუშავდა აშუღური პოეტისა და სახალხო მომღერლის ახალი ტიპი, რომელიც აფასებს თავის შთაგონებას და უნდა ის შეინახოს. ამასთან ერთად ასეთი აშუღი ერთგვარად შეიქმნა წიგნის კაცი, ე. ი. ეცნობოდა პოეზიის წარსულს. მომღერალი, რომელმაც აშუღების პოეზია მიუწვდომელ სიმაღლემდე აიყვანა, იყო საიათნოვა. თავისი გენიის სიძლიერით, მან სახალხო მომღერლის ხელობა აქცია პოეტის უმაღლეს მოწოდებად; შეიძლება ითქვას, რომ რაც მის წინამორბედებმა გააკეთეს, არაფერი იყო მის ღვაწლთან შედარებით, ყველაფერი გაჰქრა მის დიდების სხივებში... საიათნოვამ იცოდა მრავალი ენა: ის თავის ლექსებს წერდა არა მარტო სომხურ ენაზე, არამედ ქართულად და თურქულადაც. ჩვენამდე მოაღწია მისმა 115 ლექსმა თურქულად, 46 ლექსმა სომხურად და ქართველები მას თავის პოეტად თვლიან... საიათნოვამ განამტკიცა აშუღების სიმღერისათვის ერთგვარი ლექსის ფორმა, რომელიც უახლოვდება სპარსულ „ღაზელას“. მას შემდეგ ეს ფორმა გაბატონდა და საყვარელი შეიქნა ყველა მომღერლებისთვის. ეს არის ერთგვარი განმეორება ერთი და იმავე სიტყვისა, რომელსაც მოითხოვს ეს ფორმა და თვითონ აიძულებს პოეტს ეძიოს სხვადასხვა სახეობა ერთ სახეობაში. მაგრამ ამავე დროს ეს ფორმა, თითქმის პოეტისაგან დამოუკიდებლად, იძლევა ახალ ხმიანობას და აღრმავებს მისი ლექსების ამღერების ძალას. საიათნოვას ლექსები სავსეა ასონანსებით, ალიტერაციებით, განმეორებითა და შინაგანი რითმებით. ის ერთი უმაღლესი ოსტატთაგანია „ხმით წერისა“, რომელსაც იცნობს მსოფლიო პოეზია... ასეთი პოეტით, როგორც საიათნოვა, შეუძლია და მოვალეც არის მთელი ერი ამაყობდეს. ეს არის ზეცის უდიდესი საჩუქარი, რომელიც ყველას არ ეძლევა და არც ხშირად რიგდება. ესენი არიან ბედისაგან რჩეულნი, რომელნიც კურთხევას აძლევენ თავის საუკუნეს და თავის სამშობლოს“...

როცა საკავშირო საბჭოთა მწერლების ყრილობაზე გამოვიდა დაღესტნელი მგოსანი სულეიმან სტალსკი და დიდი წარმატებით წაიმღერა თავისი ლექსები და მაქსიმ გორკის აღფრთოვანებაც გამოიწვია—ქართველ და ჩვენ მეგობარ რუს პოეტებს მოგვაგონდა ფშაველებისა და ხევსურების უსახელო მოლექსენი, რომელთა გამოთქმული ლექსებიც ჟრუანტელის მომგვრელია*).

ლექსი „მოყმისა და ვეფხის შებმისა“ მართლა რომ ლექსების ტომებს გადაიწონის. ეს მთავარი ხაზია ქართული პოეზიისა და ხალხური პოეზიისა და არის კიდევ სხვა ხაზები მათ შორის: მესტვირისა და აშუღისა.

„არსენას ლექსი“ მიუწვდომელი შედევრია. თვით ილია ჭავჭავაძემ „კაკო ყაჩაღში“ ვერ სძლია უსახელო მესტვირე. ჩვენს დღეებში სხვებთან ერთად უფრო წარჩინებულად და უშუალოდ განაგრძობს საიათნოვას აშუღური პოეზიის ხაზს ეთიმ-გურჯი, რომელსაც პოეტის სახელს ვერავინ ვერ წაართმევს ისე, როგორც თარს და ჭიანურს არ წაერთმევა სიმღერის ძალა.

საერთოდ საიათნოვას პოეზია და მასთან ერთად აშუღური პოეზიაც მოითხოვს მეცნიერულ შესწავლას, თუ რა დამოკიდებულება აქვს მას სპარსულ პოეზიასთან და მის სათავეებთან, აგრეთვე შესწავლილ უნდა იქნეს მისი ქართული სათავეც. მე დიდი მოწინააღმდეგე ვარ, რომ აშუღის ჟანრი და მისი ენა დაკანონდეს ქართულ მწერლობაში, როგორც იყო ამის ტენდენცია თეატრში და მწერლობაშიაც, აგრეთვე წინააღმდეგი ვარ აშუღური პოეზია დაყვანილ იქნას ყარაჩოღულ და კინტოს პოეზიამდე, უნდა მოინახოს მისი პირველი კალაპოტი და მიეცეს ლიტერატურული გამართლება. ამიტომ საიათნოვას პრობლემა სერიოზულ ისტორიულ და ლიტერატურულ პრობლემად ფართოვდება და მოითხოვს კოლექტიურ მუშაობას, რომელშიაც უნდა ჩაებას ქართველი, სომხური და თურქული ლიტერატურული საზოგადოებრიობა.

*) სულეიმან სტალსკის, რომელიც თანამედროვე თემებზე წერს და მღერის, ხევსურ მელექსეებთან შედარება არ არის სავსებით სწორი, ვინაიდან ამ უკანასკნელთა უმრავლესობა შორეული წარსულის მოტივებით ცხოვრობს.

რედაქცია.

ბიბლიოგრაფია

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი — „სომხური ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაცია“

სახ. უნივერსიტეტის გამოცემა ტფილისი, 1934 წ.

ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხი ერთერთი მტკივნეული საკითხია ლიტერატურის მეცნიერებაში. დღემდე ამ მიმართებით ქართულ ლიტერატურის ისტორიაშიაც არ არის დადგენილი სწორი მარქსისტული შეხედულება.

თითქმის უკანასკნელ პერიოდამდე საქართველოში გაბატონებული იყო პროფ. ა. ცაგარლის „პერიოდიზაცია“, რომლის მიხედვითაც ქართული ლიტერატურის ისტორია დაყოფილი იყო შემდეგ პერიოდებად: 1) მოსამზადებელი პერიოდი, 2) „ოქროს“ ან „კლასიკური ხან“, 3) „დაცემა-დაკნინებისა“ და 4) აღორძინების ხანა.

ასეთი პერიოდიზაცია, ცხადია, მოკლებულია ერის ყოველგვარ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ეს მდგომარეობა [illegible]ულია იმით, რომ ცალკეული [illegible]ები, ლიტერატურის ისტორიკოს[illegible] თავისი საგნის მიმოხილვისას გარეშე სტოვებენ ისტორიულ პროცესს და ამით ლიტერატურას აშორებენ გარკვეულ საზოგადოებრივ - ეკონომიურ ფორმაციას და კლასობრივ ურთიერთობას.

თითქმის უკანასკნელ პერიოდამდე ანალოგიური მდგომარეობა იყო შექმნილი ჩვენი მომმე სომხეთის ლიტერატურის ისტორიაშიაც, რომელსაც „როგორც სპეციალურ საგნის დამუშავებას, მხოლოდ ერთი საუკუნის წარსული აქვს, ე. ი. სომალიონის თხზულების გამოსვლიდან მოყოლებული“.

მე-19 საუკუნიდან დაწყებული ლიტერატურის მრავალი უცხოელი და სომეხი მკვლევარი ეხებოდა სომხურ ლიტერატურის ისტორიის საკითხს, მაგრამ არცერთ მათგანს არ მოუცია სწორი მარქსისტული მიმოხილვა.

ასე, მაგალითად: პ. მაკინციანი, რომელიც აბრ. ზამინიანის შეხედულებათა ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, სომხ. ლიტ. ისტ. 3 პერიოდათ ჰყოფდა: 1) ძველი (მე-4—14 საუკ.), 2) საშუალო (მე-14—18 საუკ.) და 3) ახალი (მე-19 საუკუნიდან შემდეგ). თითქმის ასეთივე დაყოფა აქვს ვ. ფაფაზიანს იმ განსხვავებით, რომ ზემოდ აღნიშნულ პერიოდებში მას ნაგულისხმევი აქვს საუკუნოების სხვადასხვა ვარიანტი.

გარდა ამისა, შესაძლებელია მოყვანილი იქნეს სხვა მრავალ ავტორის შეხედულებანი, რომლითაც ადვილად დავრწმუნდებით რომ ყველა ესენი საკმაოდ მოძველებული არიან. „საკმარისია ითქვას, რომ „Большая Советская“ და „Литературная энциклопедия“-ში მოთავსებული წერილებიც კი ამ მხრივ არამც თუ თავიდან ბოლომდე გამართული არაა, არამედ ნ. ადონცისა და პ. მაკინციანის წერილებთან შედარებით მთელი თავიანთი აგებულებითა და მოცულობით უკან დახევას წარმოადგენს.

სომხურ ლიტ. ისტორიის არა სწორად შესწავლის ასეთ პირობებში საყურადღებოა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის უკანასკნელი ნაშრომი „სომხური ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაცია“.

ამ წიგნის ღირსება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი შედარებით სწორი მეცნიერული საზომით უდგება სომხურ ლიტერატურის ისტორიის შესწავლას. იგი სომხურ ლიტერატურის ისტორიას ჰყოფს ოთხ პერიოდათ: 1) ფეოდალურ ხანის ლიტერატურა (მე-5-9 საუკ.) ორი ქვე პერიოდით, 2) ფეოდალიზმის დაშლისა და სავაჭრო კაპიტალის შემოჭრის ხანა (მე-9-18 საუკ.) ორი ქვეპერიოდით, 3) კაპიტალიზმის პერიოდი (მე-19-20 საუკ.) ორი ქვეპერიოდით და 4) საბჭოთა ეპოქის ლიტერატურა.

უდაოა ის ფაქტი, რომ ლიტ. ისტორიის ასეთი პერიოდიზაციის მოცემისათვის, ავტორს საკმაოდ კარგად შეუსწავლია თვით სომხეთის ისტორია, რომლის გარეშე შეუძლებელი იყო ლიტერატურის პერიოდების განსაზღვრა და დადგენა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სარეცენზიო წიგნის ავტორი არა საკმაოდ იძლევა ცალკეულ ჰერიოდების ლიტერატურის დახასიათებას. ეს პერიოდები ძალიან ვიწრო სქემატიზმითაა მოცული და ამის შედეგად მკითხველს არ ეძლევა საშუალება, უფრო ფართოდ, როგორც ეს საჭიროა, გაეცნოს სომხურ ლიტერატურის შინაარსს მემკვიდრეობას.

გარდა ამისა, ავტორს ძალიან წაკლები ყურადღება მიუქცევია ცალკე პერიოდების ლიტერატურის თავისებურებისათვის, რომელიც მეტად საინტერესო მასალებს შეიცავს.

გ. მარტიროსოვი

საქართველო

მწერალთა კავშირის ჟურნალ „ფილოგის“ მორიგი ნომერი მიძღვნილია მწერალთა საკავშირო ყრილობის შედეგებისადმი. ჟურნალში მოთავსებულია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ერთა მწერლების მხატვრული ნაშრომები (რუსეთი, ბელორუსია, უკრაინა, უზბეკისტანი, საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი).

ითარგმნება ოსურ ენაზე და საგამომცემლო გეგმაში შეტანილია კ. ლორთქიფანიძის „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“, პ. ჩხიკვაძის „რომანტიული ამბავი“, აკ. ბელიაშვილის „არ შენდას დასასრული“. იგივე გამომცემლობა აცემს კოსტა ხეთაგუროვის ნაწერების სრულ კრებულს „ოსეთის ჩანგი“ და ჩერმენ ბეგიაზოვის მოთხრობას „მალები“, რომელთა ილიუსტრაცია ეკუთვნის მხატვარ ზ. ასეევს.

საჯარო ბიბლიოთეკაში 7.000-დე წიგნია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს ბიბლიოთეკა თითქმის ყველა წიგნებს ღებულობს (საავალდებულო ეკზემპლიარებს) და თვითონაც იძენს საკმაო რაოდენობის ლიტერატურას, მაინც წიგნების ფონდი მკითხველთა მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებს. მწერალთა ყრილობის შემდეგ ინტერესი მხატვრულ ლიტერატურისადმი მეტად გაიზარდა.

ძალზე მცირეა საბავშო ლიტერატურა, განსაკუთრებით ოსურ ენაზე. ადგილობრივ განსახკომს განხრახული აქვს ეს ხარვეზი შეავსოს რუსულიდან და ქართულიდან საბავშო წიგნების თარგმნის საშუალებით.

დ. გრებენშჩიკოვი *)

(წითელი მეომრის დღიურიდან)

ჩვენ მოგვანდვეს დიდი საპასუხისმგებლო საქმე, მთა-თუშეთში გზის გაყვანა და, უნდა აღინიშნოს, რომ წითელი მეომრები დიდი სიხარულით შეხვდენ ამ დავალებას.

მთა-თუშეთის გაუვალ, მრისხანე მთებთან ბრძოლა მძიმე ამოცანა იყო ჩვენთვის.

ველური გზაფხულით, ჯაგებით და ეკალნარით დახავსებული კლდოვანი მთები ბრძოლით უნდა აგვეღო როგორც მიუვალი ციხე, და იქ მომწყვდეული მთა-თუშეთი საუკუნოვან ტყვეობიდან გაგვენთავისუფლებია.

თელავიდან მანქანებით ვიმგზავრეთ, მაგრამ ჩქარა შარა-გზა დაილია და წინ აიმართენ მაღალი მთები, ზედ რომ ქედიდან-ქედამდე დახლართულ თოკივით გაბმულიყვნენ საცალფეხო ბილიკები.

აქ ბარგი ცხენებს გადავკიდეთ და ხეობაში გზაწვრილით გავ წიეთ. მივდიოდით შეუსვენებლივ. მაღლა ვიწროდ მოჩანდა ლურჯ სარკესავით პატარა ცა და შავ ღრუბლებში გახვეული, ზოგან თეთრად შეფიფქული, მთათა მწვერვალები.

გზა ისე ვიწრო იყო, რომ მარცხნივ იდაყვით კლდეებს ვეხებოდით, მარჯვნივ კი მხარდამხარ მოგვდევდა თვალუწვდენი შავი უფსკრული, საიდანაც მდინარის ცივი შხუილი და ჩანჩქერების განუწყვეტელი რუხრუხი მოისმოდა. ერთი ფეხის დაცდენა და...

იქ, აქაფებულ ცივ მდინარემდე კაცის სისხლიანი ნაფლეთები თუ ჩააყრევს... წითელი მეომრები მაინც მხნეობას არ ჰკარგავენ და წინ მიიწევენ. ჩქარა ხეობა უდაბური ტყით დაიბურა.—მივდივართ ტყეში, ვეძებთ ადგილს, სადაც დილიდან მგზავრობის შემდეგ მოქანცულმა ასეულმა ცოტა შეისვენოს. მაგრამ მზვერავებმა გადმოგვცეს, რომ ასეთი ადგილი ვერსად მოენახათ. უკან გაბრუნება კი გვიანღაა, გზა იმდენად ვიწროა, რომ ცხენის შეტრიალება შეუძლებელია.

მეტი გზა არ იყო. ამონალით ავაფეთქეთ რამდენიმე კლდე, მერე წერაქვებით გავწმინდეთ და ზედ ოთხსართულად მოვაწყვეთ ბანაკი.

ლურჯად გამჭვირვალე მთის წყალი მიქუხდა ბანაკის პირად. დაღამდა. სველ და ნოტიო კლდეებს შორის უკეკ აცივდა, თითქოს ვარსკვლავებიც გამაცივებელ სხივებით სუსხავდენ ხეობას, ყინულის პატარა ნატეხებივით რომ ბრწყინავდენ მთის მწვერვალებთან... მაგრამ მეომრებს გვარობდა მომავალი გამარჯვების სიხარული და ფიქრი დასახულ ამოცანაზე...

ამოცანა კი ასეთი იყო:

მთა-თუშეთამდე საცალფეხო ბილიკის ნაცვლად გაგვეყვანა ფართო გზატკეცილი. მდინარეზე და უფსკრულებზე გაგვედგა ხიდები, და ამნირად—მთა-თუშეთის ოცდათორმეტი სოფელი თელავთან შეგვეერთებია.

თითოეულმა მეომარმა იცოდა, რომ ის აკეთებდა ისტორიულ საქმეს, რომ მისი ხელით გაყვანილი გზით საუკუნეებით მოწყვეტილი მთა-თუშეთში კიდევ უფრო მძლავრად შეიჭრებოდა სოციალისტური ქვეყნის კულტურა, ნაცვლად კი ამავე გზით ჩვენი ქვეყანა თუშეთიდან მიიღებდა ყველს, ხორცს, მატყლს, კარაქს და სხვ. სიმდიდრეს, რომელიც უგზოობის გამო აქ უხვად დაგროვილა.

მართალია, მთა-თუშეთს ჰქონდა ერთი გზა, მაგრამ ამ გზაზე მხოლოდ გამოცდილ თუშს თუ შეუძლია გაიაროს. თელავამდე ამ გზით რამდენიმე დღის სავალია და ხშირად ქალაქში სავაჭროდ წამოსული გლეხი უკან აღარ დაბრუნებულა. დიდი ხნის ძიების შემდეგ, სადმე შავ უფსკრულში ყორანის ხმაზე თუ მიაგნებდენ დაღუპულ ჩალვადარს. ასეული წლობით ასე ცხოვრობდა მთელ ქვეყანას მოწყვეტილი, ჩაღამებულ ხეობებში გამოკეტილი მთა-თუშეთი.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, როცა ჩვენი მოსვლის მიზანი გაიგეს, აღარ იცოდენ როგორ გამოეთქვათ თავისი სიხარული, ბევრიც იტირეს თვალით უცქერდა ჩვენს მუშაობას.

მაგრამ ჩვენ დროშაზე დიდი წითელი ასოებით დავწერეთ...

— არ არსებობს ისეთი ციხე სიმაგრე, რომელიც... ბელადის შემდეგი სიტყვები ჩვენ ახლა საქმით უნდა დაგვემტკიცებია.

გავმართეთ მიტინგი, წითელარმიელები უკლებლივ გამოცხადდენ.

— პირველი ვინ დაიწყებს?—კითხულობს მეთაური ამხ. ჩხეიძე. წინ წამოდგა ქარცივაძე, ჩვენი პარტორგი და ათეულის მეთაური.

— მე დავიწყებ,—თქვა მან და ხელი შავი ღრუბლებით გადმომდგარ მწვერვალისკენ გაიშვირა.

თავგანწირვის პირველი მაგალითი მისცა წითელმა მეომარმა ამხ. ჩიქვანაიამ. ის ორასი მეტრის სიმაღლეზე უფსკრულში ჩაუშვით, სადაც წერაქვის რამდენიმეჯერ მძლავრად მოქნევის შემდეგ, კლდის უზარმაზარი ნაგლეჯი, დაახლოებით 150 კუბომეტრი უეცრად მოსწყდა და უფსკრულში გრიალით ჩაგორდა. მთის ქანი საკმაოდ რბილი აღმოჩნდა. ჩიქვანაიამ მოულოდნელად შეამჩნია, რომ მაღლიდან მოწყვეტილი კლდე ჩამოშვავებას აპირებდა,—თოკი მოვზიდეთ და საჩქაროდ მაღლა ამოვიყვანეთ.

ის იყო, ჩიქვანაია სამშვიდობოზე ამოვიდა, რომ ზვავმაც ჯოჯოხეთური ხმით იგრიალა.

ჩიქვანაიამ შემდეგ გაგვაცნო, თუ როგორ შეამჩნია ზვავის წამოსვლა.

ეს იყო ასეულის პირველი გამოცდილება სამთო მუშაობაში. თოკებით უფსკრულში ჩაშვებული მეომრები ბურებით ხვრეტდენ კლდეებს და ლაღუმებით აფეთქებდენ. მთელი დღის განმავლობაში ისეთიჭექა-ქუხილი გაისმოდა, თითქოს ამ ნისლიან ხეობაში აგრგვინებულიყოს მსოფლიო ომი, ან ცას მოეკრიბოს მთელი ძალღონე, რომ ველურ ღრუბლების მრისხანება საშინელ გამაყრუებელ გრუხუნის ხმებათ გამოეხატა.

ამოცანის პირველი ნაწილი წარმატებით შევასრულეთ. თერთმეტი კილომეტრის მანძილზე გზა სიგანით ორ მეტრამდე გავაფართოვეთ, გავაკეთეთ თორმეტი ბოგირი და ორიც ხიდი. ამ სამუშაოების შესრულებისათვის მოცემული გვქონდა ოცდაორი დღე, ჩვენ კი ვადაზე ცხრა დღით ადრე დავამთავრეთ.

მაგრამ ბილიკის ჩქარა გამოილია და წინ გამოჩნდა ე. წ. „შავი ხევის“ მთა, რომელიც უმთავრესად რკინის მადანს შეიცავს. აქ ქანი ძლიერ მაგარია; წერაქვით პატარა ბელტის მოგლეჯაც შეუძლებელი იყო.

დიდის ვაი-ვაგლახით გავხვრეტდით კლდის დინამიტით ამოვავსებდით; ლაღუმიც ერთი ცივად წამოიქუხებდა და როცა კვამლი გაიფანტებოდა—უძლეველი კლდე მაინც ურყევად იდგა. მხოლოდ ფრინველებს ვაფრთხობდით, ერთი ჟრიამულით რომ აიშლებოდენ ხოლმე და ფრთების ტლაშუნით შორ ღრუბლებში იკარგებოდენ.

ექვსი დღის მუშაობის შედეგად მხოლოდ ას სამოცი მეტრი გავიარეთ. წარმოიდგინეთ, თითქოს ციდან ჩამოკიდული შავი კლდის სილუეტები. ამ კლდეებზე უნდა გაეკვალათ ახალი გზა წითელ არმიელებს. ჩვენც ლაღუმებით უშიშრად მივარღვევდით რკინის მთას და ჩქარა ეს ამოცანაც წარმატებით გადავწყვიტეთ.

კიდევ წინ დაგვრჩა ორი მთა, მაგრამ მთა-თუშეთის გლეხობაც წამოგვეშველა, ჩვენი ენთუზიაზმი მათაც გადაედო და მთის მეორე მხრიდან ერთი ჟრიამულით შეუდგენ გზის კეთებას.

წითელი მეომრების საქმიანობა მხოლოდ გზის მუშაობით არ განისაზღვრებოდა. ბანაკში დაბრუნებისას საღამოობით ჩვენ ვღებულობდით საბრძოლო და პოლიტიკურ მოამზადებას. მართალია, ამ ციცაბო ადგილებში „სროლის“ მოწყობას ვერ ვახერხებდით, მაგრამ რეგულარულად ეწყობოდა პოლიტსწავლება და პოლიტინფორმაცია ხშირად ვმართავდით კომკავშირისა და პარტიულ ორგანიზაციების კრებებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ გვიჭირდა, წითელ მეომრებს ხალისის მარაგი არ დაგვლევია. სიმღერისა და მუსიკის ხმა ყოველ საღამოს გამოისმოდა ჩვენი კარვებიდან, ეს ხმა ეცრად გამოქროლებულ ქარს მიჰქონდა მთვარით განათებულ ტყეებში, მთებში და ხეობებში, როგორც ჩვენი სიხარულის ჰარმონიული გამოძახილი.

მოგვდიოდა გაზეთებიც. ვკითხულობდით, ვმსჯელობდით და საერთოდ ვცხოვრობდით ისე მხიარულად და კულტურულად, როგორც შეშვენის წითელ არმიას.

აი, უკვე მთის მეორე მხრიდან გზაზე მომუშავე გლეხობაც მოგვიახლოვდა და როცა უკანასკნელი კლდე ლაღუმის ქუხილით გავარღვიეთ, მიუვალ მთაში პირველად მოხდა გლეხობისა და წითელი მეომრების საზეიმო შეხვედრა.

მოხუცმა გლეხმა გიგამ ჩვენი წითელი დროშის პასუხად თავიდან წითელი ბუსეული მოიხსნა და ვაშას ძახილით ჰაერში ააფრიალა.

პარტორგი ქარცივაძე გიგას მოეხვია და ჰაღარა დაუკოცნა—და ამ ორი ადამიანის, წითელი მეომრისა და თუში გლეხის გულისცემა ერთ მთლიან სიხარულად შეერთდა.

— ეხ, ახლა კიდეც რომ მოვკვდე, ბიჭებო, აღარც ვინაღვლი, რაკი ჩემს სოფელში ამისთანა გზას მოვესწარი,—ამბობს გიგა და ჰაღარა წვერებიდან ქარცივაძეს სახეში შეცინინ.

მაგრამ ჯერ სიკვდილი არ უნდა გიგას. მის ჰაღარა წარბებს ქვეშ, ულრუბლო მთის ლურჯი გარიჟრაჟივით სუფთა თვალები იმ ახალ სიცოცხლეზე მეტყველებენ, რომელიც მან ახლა დაიწყო.

ილუსტრაციები—ს. კეცხოველისა

*) ამხ. დ. გრებენჩიკოვი ტფილისში მომუშავე რუსი მწერალია. იგი, როგორც წითელი მეთაური, მონაწილეობდა წითელ არმიის აწოლების მიერ თუშეთში გზის გაყვანაში.

ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა

I

სომეხი ავტორები ქართულად

რაფი—ხენთი; სიმშილი; უბედური რიმსიმე; საყასბო; უმანკო მსხვერპლი; ზედსიძე; ბატონიშვილის ალექსანდრეს ცხოვრება სპარსეთში; ფირდუსი; დავრიში.

რაფ. პატკანიანი—არაქსის ცრემლები, მუშები და ძაღლი; წყარო; ვინ არის სომეხი? სომხური ჰანგები.

ალ. წატურიანი—მე კი არ ვმღერი; ღმერთო შეგცოდე; ჩემი ლოცვა; ილოცე ძმაო; შრომის შვილები; ზამთრის ღამე.

გ. დოდოხიანი—მერცხალი.

ვ. ფაფაზიანი—დაკარგული სიმართლე; ქუჩა, გულწრფელი საჩუქარი; ლურდალურ; კლდე; გმირის სიკვდილი; საახალწლო მოთხრობა.

ა. აჰარონიანი—ცრემლის ხეობა; მამალი; დედები; დამშეულთა სიმღერა, სისხლის ხაში; ყვავილი, მთებში; სიკვდილი; იმ ღამეს; ჩვენ ვცოცავთ, ცხოვრების გაკვეთილი.

შირვანზადე—ნამუსი; ცეცხლი ნავთის ქარხანაში; ევგინე; ძვირფასი ბორკილი, ცხოვრების ქარცეცხლში.

ნარდოხი—რა მოხდა, როცა შაქარდანში ორი ნატეხი შაქარი არ აღმოჩნდა: ჰოპოპ, ღმერთი და მეფე.

ოვანეს ოვანესიანი—არტავაზდ, წარსულთა დროთა.

ოვანეს თუმანიანი—ჩემი სიმღერა, სომეხთა სევდა, რისთვის, რუბაიები, ძველებური დალოცვა, განშორების ჟამს, ორი ღრუბელი, აივაზოვსკის სურათის წინ, სომხეთის მთებზე, საქართველოს პოეტებს, ძაღლი და კატა, ფარვანა, ერთი წვეთი თაფლი, ანუშ, გიქორ, ირემი, საწყალი კაცის პატიოსნება, ახმად, ქვის აბანო, უბედური ვაჭრები, ბატონი და მოჯამაგირე, გულადი ნაზარა, ყველიერი, ბავში და მთვარე, უარყოფილი კანონი.

ნაყაში—ხოტბა საქართველოს კეკლუცებს.

საიათნოვა—შენ იმ თავით ბრძენი ხარ...

აგ. ისაკიანი—აბულ-ალა-მაჰარი, ყველაზე ძვირფასი რამ, სიმღერის ძალა მზესთან.

მ. არწენ—სიყვარული.

ე. ნალბანდიანი—მამა და ქალი.

დ. დემირჩიანი—სამნი.

მოჭორიანი—შუაღამე.

ჯივანი—მუხამბაზი.

ვაჰან ტერიანი—შემოდგომის ქალაქში, გამოთხოვება, ნაირეთის სიმღერებიდან.

მიქაელიანი—ბუტია აბგარა.

ბალონც მარქარა—ფიშანი.

ა. არარატიანი—ანისის ქალაქი.

ხ. ნაბახტიანი—ზადელე, შმარა.

მ. დარბინიანი—მტრები, წითელ ჯარში.

მ. მანგელიანი—ბრწყინვალე სინათლისაკენ, ბნელა, ერთი ქუდის ამბავი.

მარტინი—მენავთე სიმონა, ახალი სახლი.

გ. მესიანი—ბუნების წიაღში.

ალტუნი—ერთი მრავალთაგანი.

არაზი—მკვდრები მოკითხვას გიგზავნიან, წითელი გმირი ქალი, გიგზავნი ამ ჩემს თავს, სისხლის ყვავილები, მარჯარა, იკაროსის ფრთები, უკანასკნელი ბარიკადი, უკვდავი კომუნარი, მტრის სიმღერა, პატარა მუშა, აი თურმე რა დანავიწყდა.

ალაზანი—საქართველოში, მესაზღვე ჰორიზონტზე,

სტ. ზორიანი—ელექტრონის სანათური, უბედური შემთხვევა, თეთრი ქალაქი.

გულხანდანიანი—პატარა გმირი.

ყარადავრიში—ვინ ვარ მე.

მ. პეტროსიანი—მემ ნქანის დღიურიდან, ლურჯი პერანგი, დარაჯი, მტკიცეთ დაიცავით სისხლით და ცრემლით არის მოპოებული, ძე ბოლშევიკი ვარ, ნამგალი ჩაქუჩი და გრდემლი.

ლ. მეჰრაბიანი—თეთრი და შავი.

ელ. ჩარენცი—ბორის ძნელაძე, გაზაფხული, ურდოები გაგიყვებულთა

გურგენ მაჰარი—სასაფლაო, სიმღერის და შრომის ენა.

აზატ ვშტუნი—ადერბეიჯანი, გრიგალის ძახილი, ორი სიყვარული, ბოლშევიკური ხელოვნება.

გრ. გრიგორიანი—ზღვის პირას, ყოველივე ვქმენ.

აკოფ აკოფიანი—შირკანალი, ჩემი სამყარო, რევოლუცია, გარდაიცვალნენ—არ მომკვდარან, მჭედლის სიმღერა, მე ვამბობ, მიყვარს, ახალი დილა, ეტაპში, მსხვერპლნი, ქალაქი, სეიფები, გუშაგი, კვნესითგოდებით, მე — წინასწარმეტყველი, ლენინს, მ. ცხაკაიას, უცხო და ღვიძლი, წითელ გაზაფხულს, ნაციონალისტებს.

მთარგმნელები: ბ. დავითაშვილი-ევანგულოვი, ლაზარე კარაპეტიანი, ილია აბულაძე, ს. ავჩიანი, ს. ფაშალიშვილი, ნ. აუშტრიანი, ბაბილინა, კ. ჭიჭინაძე, გ. ბაშინჯაღიანი, პერტე მირიანაშვილი, აკაკი შანიძე, ლ. მელიქეთბეგი, ვ. გაფრინდაშვილი, მარიჯანი. ტიციან ტაბიძე, ლევან ბაღაშვილი, ილ. აღლაძე, გ. ფირუმიანი, გ. გედევანოვი, გ. ბაბალოვი, დათიკო აწყურელი, იოს. იმედაშვილი, ობოლი მუშა, ვ. რუხაძე, ნოე ზოძლეთელი, კ. კალაძე, კოლ. ნადირაძე, ალხაზიანი, ბ. ჩარხიშვილი, იასამანი, ა. არსენიშვილი, დ. ტერ - დავითიანი, ანტ. თუმანიანი, ნ. ათოიანი, ა. რ. შაკ-ი, პ. სიდამონი, გოგიტო ციმბირელი, ა. ი. დავითიანები და ი. გრიშაშვილი.

2

ქართველი ავტორები სომხურად

ძოთა რუსთაველი—ვეფხვის ტყაოსანი.

ნ. ბარათაშვილი—ბოლბული ვარდზე, ვპოვე ტაძარი, მერანი.

ლ. არდაზიანი—სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი

დ. ჭონქაძე—სურამის ციხე.

ილია ჭავჭავაძე—კაცია ადამიან ?!, გლახის ნაამბობი, განდეგილი, ელეგია, გუთნის დედა.

ა. ყაზბეგი—ელგუჯა, ელისო, ბერდია, ხევის ბერი გოჩა, ელბერდ, ციცკა, ნინო, ფათი, დილა ქორწილის შემდეგ.

გ. წერეთელი—ოცი წლის წინად ანუ მამასახლისის ნამბობი, ლომკაცი, რუხი მგელი.

ვაჟა ფშაველა—მთის წყარო.

ეკატერინე გაბაშვილი—მაგდანას ლურჯა, ორენა და ქეჩი

ხაიათნოვა—ქართული ლექსები.

ი. გოგებაშვილი—იავნანა მირა ქმნა.

ე. ნინოშვილი—განკარგულება, გოგია უიშვილი, ჩვენი ქვეყნის ოინდი, სიმონა, მოსე მწერალი, ქრისტინე, არშიყი, ჯანყი გურიაში.

შალვა დადიანი—როს ჩადიმობდენ.

დავით კლდიაშვილი—მრევლში.

დუტუ მეგრელი—უმანკო მსხვერპლი, ქინაქინა.

შ. არაგვისპირელი—ახალი წლის ღამე, ესაა ჩვენი ცხოვრება, ჩემი ბრალი არ არის ღმერთო!, რა ზიზღით მიცქერის.

ია ეკალაძე—მთვარიან ღამეს.

ა. ცაგარელი—ხანუმა, ჭკუის მჭირს, ციმბირელი, ბაიყუში, რაც გინახავს, ველარ ნახავ.

ი. გედევანიშვილი—სინათლე, მსხვერპლი, გამცემი.

პ. ირეთელი—დამარცხებულნი.

თეოფილე ხუსკივაძე—სასაფლაოზე.

ტრ. რამიშვილი—ექიმი აშირბაჯიანი.

ნინო ნაკაშიძე—ახალ წლის ღამეს.

ი. გომართელი—დრამატიული საზოგადოების წევრი, სანდრო და ზურა.

ჭოლა ლომთათიძე—პირველი მაისი.

ნატალია აზიანი—ვაი კალმისაგან, დეზერტირკა.

ლალიონი—ბუკას ხვედრი.

ს. ყიფიანი—ახალი სამართალი.

დ. მესხი—ომის მსხვერპლი, არ დაბრუნდა.

ა. ჭუმბაძე—მოსისხლენი.

ვ. რუხაძე—ნინოშვილის ხსოვნას.

მიხ. ჯავახიშვილი—მართალი აბდულაჰ, არსენა (ნაწყვ.).

ა. შანშიაშვილი—მოთხრობები.

გალაქტიონ ტაბიძე—პრესა.

ი. გრიშაშვილი—თუთუნის ქარხანაში მომუშავე ქალის სიმღერა, დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს.

გ. ჭუჩიშვილი—ივანე.

ტიციან ტაბიძე—ორპირი.

ნ. მიწიშვილი— სტალინ.

ხ. ჩიქოვანი—ალაზნის ველი და ალაზნის ბამბა.

ლეო ქიაჩელი—ძალა ერთობაშია.

დემნა შენგელაია—ხალხი და ჯამაათი.

ხ. ეული—დელეგატი მამა,კომუნა—საქართველო.

ი. ვაკელი—სიმღერა შრომაზე.

ა. ქუთათელი—განთიადის წინ.

კ. ბობოხიძე—სალამი სანაპიროს, წ-არმიელი.

კ. კალაძე—მხედრული.

გ. კაჭახიძე—დღეები სოფელში.

ა. გომიაშვილი—სიმღერა ჩეჩნურ კოლექტივზე.

რაუდენ გვეტაძე—მერკვილაძეს დები.

კ. ლორთქიფანიძე—პირველი დედა; ფოტოგრაფი, პიონერი ანდო, ახალი გლეხები, ძმები.

ფ. ნაროუშვილი—ხოლტი ეწევა აგიტაციას, ამილახვარი.

ნ. ზომლეთელი—ქალაქი.

ა. მაშაშვილი—ლენინს, ურმული, აი, ადამიანი! ინციდენტი უჯრედის კრებაზე, განგაში.

ირ. აბაშიძე—ჩემს ობლიგაციებს.

შ. ნავთლუღელი—ლურჯი ხალათი.

გ. ხეჩუაშვილი—ორი საფლავი.

ნიკო ასლამაზიშვილი—ნაძალადევის არწივნი, თებერვლის ოცდახუთი.

ბარონ ბიბინეიშვილი—რკინის კაცი, საიდუმლო გვირაბი, მეოთხედი საუკუნის მანძილზე, ახჩა-ყუმას ტრაღედია.

პ. სამხონიძე—პირველი ქარტეხილი, პირველი კრება.

ბორის ჩხეიძე—დღეები.

პანტ. ჩხიკვაძე—ამხანაგი ბუთხუზი, სართულები, დაბინდებიდან გათენებამდის, შეძლებულ ცხოვრებისაკენ.

გ. ბუხნიკაშვილი—დამცველნი და მოკავშირენი.

მიხ. ჩიქოვანი—ანეული, თეთრი ქალაქი, საგაზაფხულო თესვა.

ილ. პოლიმორდვინოვი—მეკობრები, ხანძარი, წარმოდგენა, შაშლარ, ვერცხლის ქამარი, ორი მზე, რკინის ძმები, ქვეყანა მიდის, გიგანტის მშენებლები.

ხ. თალაკვაძე—ორი ანტიპოდი.

ხ. ჯავშანიძე—ურჯულო ეზე პირველი ტრაქტორი, მზადება.

ხიმ. წვერავა—გულია, მგლები.

მირ. ხუხუნაიშვილი—ფოლადის გული.

ა. ჩაჩიბაია—დაშლილი ტალღა, მოჯამაგირეთია, ენტუზიასტები, როცა სიჩუმეა.

გ. ზარიძე—თავდადებულნი.

მთარგმნელები: ბასტამიანი, გ. ასატური, ტ. ფირუმიანი, ლ. კარაპეტიანი, პ. მირიმანიანი, ა. მეჰრაბიანი, ანტ. აუშტრიანი, ა. ხონთქარიანი, მელოიანი, ლ. მელიქსეტბეგი, გ. მაჰარი, ვ. თერძიბაშიანი, მ. ფოლიანი, ა. და დ. დავთიანები, ვ. ტერიანი, გ. გედევანოვი, ანტ. თუმანიანი, ს. ავჩიანი, ნ. ზარიანი, გ. მურადიანი, რ. აღაბაბი და ს. ტარონცი.

ი. გ.

რედაქციისაგან: უადგილობის გამო არ აღვნიშნავთ თუ სად და როდის დაბეჭდილა ან რომელ მთარგმნელმა სახელდობრ რა ნაწარმოები სთარგმნა.

ქრონიკა

აკაკი წერეთლის მომავალ იუბილესთან დაკავშირებით საქ. მუზეუმი სცემს აკაკის დღემდე გამოუქვეყნებელ ნაწერების კრებულს, რომელშიაც შევა ლექსები, ოდა—„ისტორია“, პიესა—„სიყვარული“, „ბერადი“, წერილები— და აგრეთვე გამოკვლევები და მოგონებები პოეტზე.

კრებული გამოიცა გ. მირიანაძის, ი. ქაკაბაძისა და შ. დუდუჩავას—რედაქციითა და შენიშვნებით.

სახელგამმა გამოსცა და იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:
1. სტენდალი—„წითელი და შავი“ თარგმანი გერ. ქიქოძის, მიხ. ჯავახიშვილი—თხზულებანი, ტ. III. 3. ბოკაჩიო—დეკამერონი, თარგმანი თ. სახოკიას. 4. ანასტასია ერისთავი — ხოშტარიანი—მოთხრობები. 5. გ. ქუჩიშვილი—ლექსები.

დაიგეგდა და ამ დღეებში გამოვა გასასყიდად რუსთველის სახ. ლიტერატურულ ინსტიტუტთან არსებულ, „აისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ გამოცემული პროფ. სიმ. ყაუხჩიშვილის ნაშრომი—„ბიზანტიელი მწერლები ს ქართველოს შესახებ“ ტ. II, რომელიც შეიცავს VI საუკ. ბერძნული მასალების ერთ ნაწილს (პროკოპი კესარიელს, იონა ლიდეს, იუსტინიანეს ნოველებს) ქართული თარგმანებითურთ და სათანადო შენიშვნებითა და გამოკვლევებით.

იმავე სერიის III ტომი, რომელიც შეიცავს VI საუკ. დანარჩენ მასალებს (ზაქარია, ავათია, მენანდრე, ევაგრე, სტეფანე ბიზანტიელი და იოანე მალალა),—უკვე გადაეცა საუნტის გამომცემლობას დასაბეჭდათ.

მწერალთა კავშირის საბავშო ლიტერატურამ და ლუნაჩარსკის სახლობის ცენტრალურმა საბავშო ბიბლიოთეკამ, ა/წ. 4 დეკემბერს დასდეს ურთიერთ შორის ხელშეკრულება საბავშო ლიტერატურის მკითხველისა და ბავშთა შორის მუშაობის შესახებ.

ვაჟა-ფშაველას მოთხრობები რუსულად გადათარგმნა მარო ციციშვილმა. მოთხრობები გამოვა ცალკე წიგნად.

ჟურნალ „Строим“-ის უკანასკნელი ნომერი მიძღვნილია ფირდოუსის იუბილესადმი. ჟურნალში მოთავსებულია საბჭოთა კავშირში შემავალ ერთა მწერლებისა და კრიტიკოსების წერილები. საქართველოდან მოთავსებულია ორი წერილი: ერთი ეკუთვნის მალაქია ტოროშელიძეს, მეორე — ი. გრიშაშვილს.

რუსეთი

საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმი მოწვეულია მოსკოვში 1935 წლის იანვარში. პლენუმზე მოსმენილ იქნება ბესპალოვისა და შაჰიანინის მოხსენებები „კრიტიკის მდგომარეობასა და მის ამოცანებზე“. თანამოხსენება თეატრალურ და კინო კრიტიკის შესახებ. „სამოქალაქო ომის ისტორიისა“ და ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის“ მთავარრედ ქცეების მოხსენებები. ამავე პლენუმზე დამტკიცებულ იქნება კავშირის 1935 წლის სამუშაო გეგმა.

საჯეცნიერო აკადემიამ გადაწყვიტა გამოსცეს პუშკინის თხზულებათა სრული კრებული 18 ტომად, მეცხრამეტე ტომში კი მოათავსოს პუშკინის მიერ დახატული სურათები. 1935 წლის იანვარსა და თებერვალში გამოვა მეშვიდე ტომი—„პუშკინის დრამები და კომედიის ნაწყვეტები“, პირველი ტომი—„ლიცეის ლექსები“ დაიბეჭდება 1936 წლის აპრილამდე. საიუბილეო დღეებისთვის გაზრახულია გამოიცეს თხზულებათა ცხრა ტომი.

მხატვართა საკავშირო ყრილობასთან დაკავშირებით მოსკოვის საბჭოთა მხატვრების კავშირი ატარებს მთელ რიგ კონფერენციებს სხვადასხვა შემოქმედებით საკითხებზე. ნოემბრის დამლევს ჩატარებულ იქნა კონფერენცია პეიზაჟის შესახებ. მომსხენებლად „საბჭოთა პეიზაჟის შესახებ“ გამოვიდა შჩეკოტოვი. მოსკოველ მხატვართა გაერთიანება აწყობს პეიზაჟის გამოფენას, რომელზედაც გამოფენილ იქნება პეიზაჟზე მომუშავე საბჭოთა მხატვრების უკანასკნელი ნამუშევრები. გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია 150 მხატვარი.

რედაქტორი: **პლატონ ძიძოძე** რედაქციის მდივანი: **ნიკოლოზ ჩაჩავა**

სარედაქციო კოლეგიის წევრები: იოსებ გრიშაშვილი, შალვა დადიანი, დავით დემეტრაძე, პაოლო იაშვილი, ალიო მაშაშვილი, ნიკოლოზ მიწიშვილი, ბესო ჟღენტი, პლატონ ქიქოძე, სიმონ ჩიქოვანი და პანტელეიმონ ჩხიკვაძე

გამომცემელი: „ლიტგაზეთის“ გამომცემლობა რედაქციის ტელეფონი 3-47-10

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მწერალი ქალი

დესპინე გელოვანი (გელოვანი)

პანაშვიდი საღ. 7 საათ., მირსკის ჩიხი № 7.

გაიხსნა კომინტერნის ქუჩაზე

მხატვრულად გაფორმეგული მაღაზიები

ტანისამოსის მაღაზია № 1 ჰყიდის ყოველგვარ ტანისამოსს. მაღაზია გაყოფილია რამდენიმე განყოფილებად. აქვს ტანისამოსის გადამკეთებელი ცეხი, რომელიც იაფად, მომხმარებლის გემოვნების მიხედვით აწარმოებს ამავე მაღაზიაში შეძენილი ტანისამოსის გადაკეთებას.

მისამართი—კომინტერნის 2.

ამავე ქუჩაზე მოთავსებულია ხილეულობის მაღაზია № 1, მხატვრულად შესრულებული მოწყობილობით და გაფორმებით, მხატვრობა ლადო გუდიაშვილისა. აქვს რამდენიმე განყოფილება, სადაც მომხმარებელს შეუძლია ნახევრად კომერციულ ფასებში შეიძინოს ხილეული. მაღაზიას ყოველ დღე მოდის საექსპორტო საქონელი.

მისამართი—კომინტერნის 3.

მთავლიტი № 8315. ცეკავშირის სტამბა. პუშკინის ქუჩა № 3. დაკვეთის № 1249.